ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა"+ აინშტაინი
8 ლარი
28 მარტიდან




ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 5 აპრილი, 2012 №81 (5771) ფასი: 30 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა არ მისცეს



## სააკაშვილი ივანიშვილს ჭკუას არიგებს

გვ.3

## გივი თარგამაძე: ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჰქონდა და უნდა გაფრთხილებოდა

გვ.3



## უქმნის თუ არა ივანიშვილი საფრთხეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს?

გვ.6



## რუსეთს საქართველოს ხელისუფლების შეცვლა სურს

გვ.2



## გია ხუხაშვილი: საქართველოში საშუალო ხელფასად 603 დოლარის დასახელება სრულიად არასერიოზულია

გვ.3





გვ.10

## გელბახიანი პატარკაციშვილის პოლიტმემკვიდრეობის აღდგენას გეგმავს

## რასმუსენმა საქართველოს ხელისუფლება მოიმადლიერა

გვ.6





## რატომ დაუწუნა ჯონ ბასმა ქართველ ჟურნალისტებს ცნობისმოყვარეობა

გვ.6



გვ.5

## პარლამენტი 21 წლის ბავშვების თავშესაფარი არ არის

ვის ეგონა კობა ხაბაზი თბილისის დამაარსებელი

ISSN 1987-9385

**5** გია გვაზავა: აფხაზეთში სერიოზული შიდა კრიზისია

**3** „ლეიბორისტები" მოსახლეობისთვის წყლის გადასახადის ჩამოწერას მოითხოვენ

**7** გამოკითხულთა 84,3% მიიჩნევს, რომ ქიაბერაშვილის მინისტრობა ჯანდაცვის სისტემაში ვითარებას არ შეცვლის

**5** სახალხო დამცველი მურმან დუმბაძის განცხადებას დისკრიმინაციულს უწოდებს

# რუსეთს საქართველოს ხელისუფლების შეცვლა სურს

## რას ვერ ამტკიცებენ მემარჯვენეები

შორენა კოწოწაშვილი

**რამდენად რეალურია რუსეთთან ომი და რატომ ითხოვს სოფლის მოსახლეობა ქელეხების დარბაზებს და სასაფლაოების მოწესრიგებას იმ ხელისუფლებისგან, რომელიც ლაზიკის მშენებლობით იწონებს თავს, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერ ფიქრია ჩიხრაძესთან.**


ფიქრია ჩიხრაძე

*– ქალბატონო ფიქრია, რამდენიმე დღეა ხელისუფლების მაღალჩინოსნები რუსეთიდან მოსალოდნელი ომის ახალ საფრთხეზე საუბრობენ. რეალურად გეჩვენებათ ეს საფრთხე დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით?*

– მოდი ასე ვთქვათ: გამომდინარე რუსეთის სახელმწიფოს არადემოკრატიული ბუნებიდან და იმ იმპერიალისტური მისწრაფებებიდან, რომელიც ისტორიულად და სამწუხაროდ, დღესაც აქვს რუსეთს, ამ ტიპის საფრთხე მთლიანად არასოდეს არ გამოირიცხება. ყოველთვის რჩება ალბათობა იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში ხან შიდა პრობლემების გადასაფარავად, ხან იმის დემონსტრირებისთვის, რომ რუსეთი არის დიდი სახელმწიფო და რომ მას გააჩნია გავლენის სფეროები; ხან ალბათ იმისთვის, რომ დანარჩენ მსოფლიოს დაუმტკიცოს, ისევე, როგორც ეს 2008 წელს მოხდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაც შეიძლება იოლად ეგებოდეს ამგვარ ხაფანგში. მიზეზები არსებობს ხოლმე, რომელიც საბაბად შეიძლება იქნეს გამოყენებული და ამგვარი რამ მოხდეს. მე ამ წუთში გამიჭირდება თქმა, ის განცხადებები, რომელიც ამ დღეების განმავლობაში მოვისმინეთ, რაიმე კონკრეტულ ნიშანს ან ინფორმაციას ეფუძნება და ამის საფუძველზეა გაკეთებული თუ ზოგადად, ისეთივე დაშვებას ემყარება, როგორ დაშვებასაც ამ შემთხვევაში მე ახლა თქვენთან ვახდენ. შეიძლება მე ნაკლები ინფორმაცია მაქვს, მაგრამ კონკრეტული ინფორმაცია ამის თაობაზე არ მომისმენია. შეიძლება ამის საფუძველს იძლეოდეს ის განცხადებებიც, რომელიც იგივე რუსული პოლიტიკური წრეებიდან კეთდება და ერთ-ერთი მძაფრთაგანი იყო არჩევის შემდგომ პუტინის მოკითხვა, ასე ვთქვათ, საქართველოში როდის არის არჩევნები და რამდენად დაინტერესებული არიან ისინი ამ არჩევნებით. ალბათობა არსებობს, მაგრამ მე გამიჭირდება ამ წუთში ვთქვა, რეალურად მართლაც არის თუ არა ამის საფუძველი. კიდევ ვიმეორებ, საქართველოში ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ის ყოველთვის უნდა უშვებდეს ამ ალბათობას და ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ეს დაშვების დონეზე ალბათობა, რეალობად არ იქცეს.

***– რადგან პუტინის სიტყვები გაიხსენეთ, ფიქრობთ, რომ რუსეთის ხელისუფლება დაინტერესებულია საქართველოში ხელისუფლების შეცვლით? არაერთი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ სააკაშვილი საქართველოში სწორედ რუსული პოლიტიკური ინტერესების განმახორციელებელია.***

– ერთმნიშვნელოვნად ასე თქმა ძალიან გაჭირდება მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც, „ახალ მემარჯვენეებს", არა ერთი პრეტენზია გვქონია მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემის თაობაზე. მე უფრო სხვანაირად დავაყენებდი საკითხს, რომ საქართველოში არ აღმოჩნდა ხელისუფლება რუსეთისთვის მისაღები თუკი ის ხელისუფლება საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობაზე ფიქრობს და ამ მიმართულებით დგამს ნაბიჯებს. მე ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი, როდესაც საქართველოს პირველი ხელისუფლების დამხობის შემდგომ, ქვეყნის სათავეში მოვიდა შევარდნაძე; შიდა პოლიტიკური სპექტრი შევარდნაძეს ყოველთვის ბრალს სდებდა, რომ ის საწყის ეტაპზე იყო თითქოს რუსეთის ხელისუფლების აქტიური ხელდასხმით მოსული ხელისუფლებაში, შედგომში მას უწუნებდნენ დაბალანსების პოლიტიკას დასავლეთსა და ჩრდილოეთს შორის, მაგრამ ამან არანაირი შედეგი არ გამოიღო და შევარდნაძის ხელისუფლების დროს მოხდა ქვეყნის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დაკარგვა. ანუ რუსეთი ასეთ შემთხვევაში იმით კი არ ხელმძღვანელობს, კონკრეტულად, ვინ არის ხელისუფლებაში. მეტი რა უნდა გაეკეთებინა შევარდნაძეს რუსეთისათვის, ვარდიკო ნადიბაიძე და იგორ გიორგაძე ჰყავდა წამყვან ძალოვან პოსტებზე დანიშნული და ეს იყო აბსოლუტურად მოუთმენელი რამ. მაგრამ მიუხედავად ამ მოუთმენელი ვითარებისა, ჩვენ მაშინ დავკარგეთ ტერიტორიების ნაწილი. ანუ რუსეთის პოზიციაა ასეთი: საქართველო არ უნდა იყოს დამოუკიდებელი ქვეყანა. საქართველო უპირობოდ უნდა იყოს რუსეთის გავლენის ქვეშ და მეტსაც გეტყვით, ის არ უნდა იყოს მთლიანი და ძლიერი სახელმწიფო. ეს არის ყველაზე დიდი დაბრკოლება და ყველაზე დიდი პრობლემა რუსეთთან ურთიერთობაში. თორემ, აქ რომ ლაპარაკი იყოს მართლაც თანასწორუფლებიანობაზე, თანაბარ უფლებებზე ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში, რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს, რომ მეზობელი სახელმწიფო, როგორიც არ უნდა იყოს ის, მასთან უნდა მოახერხო მინიმუმ არამტრული რეჟიმი გქონდეს ადამიანს და უკვე მაქსიმუმ, კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩამოაყალიბო. მაგრამ ეს იყო ყოველთვის ხელისშემშლელი. ასეთ შემთხვევაში ახლა ჩვენ სააკაშვილის კონტექსტს თუ განვიხილავთ, მას ჰქონდა ეტაპები, როცა ძალიან ცდილობდა პუტინთან ურთიერთობის დამყარებას. ეს იყო 2003 წლის შემდგომი პერიოდი და გახსოვთ, ერთ-ერთი პირველი შეხვედრა მას ჰქონდა პუტინთან. ხოტბასაც ასხამდა ამ ქვეყნის ხელისუფალს, მაგრამ მერე მალე ეს ურთიერთობა გაფუჭდა. გაფუჭდა მას მერე, რაც ისევ დასავლურ ორიენტაციაზე იყო აქცენტი აღებული. ასე რომ, აქ ბევრი სხვა რამ არის და ასეთ პირობებში საქართველოში ნებისმიერ ხელისუფლებას ამ მოცემულობის, ამ რეალობის მაქსიმალურად გათვალისწინება უწევს.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ მოსალოდნელ ომის საფრთხეზე მმართველი ელიტის მხრიდან განცხადებები უფრო შიდა მოხმარებისთვის კეთდება და შიშზე, წინასაარჩევნო ხმებზეა გათვლილი?***

– არც ამას გამოვრიცხავ, პირდაპირ გეტყვით. არ გამოვრიცხავ იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობაში იმდენად ცოცხალია ის სტრესი და შიში, რომელიც 2008 წელს განიცადა ჩვენმა მოსახლეობამ, რომ არც ერთ ნორმალურ ადამიანს არ უნდა იმის არა თუ განმეორება, არამედ რაიმე მიმსგავსებულიც კი ნახოს. აქედან გამომდინარე მე ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ამის აზრსქვედაპიარი შეიძლება იყოს ის, რომ ვიღაცას ქვეყანაში უნდა სიტუაციის არევა. ქვეყნის გარედან ასეთი იმპულსები ისმის და რომ ხელისუფლება არის ის, ვინც გარანტია მშვიდობის შენარჩუნების. მე ამას არ გამოვრიცხავ იმიტომ, რომ ჩვენ გვახსოვს განმუხურის წინასაარჩევნოდ დადგმული სცენარი. ასეთი რამ, სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას ახასიათებს. ახლაც არ გამოვრიცხავ, რომ მსგავსი რამ მოხდეს, მით უმეტეს, რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ცუდია, რომ რუსეთმა იგივე საშემოდგომო სწავლებები და წვრთნები კავკასიის რეგიონში ასევე შემოდგომისთვის დანიშნა და ამანაც ერთგვარად შეამზადა ფონი ასეთი განცხადებებისთვის.

***– ქალბატონო ფიქრია, მოდით შიდა პოლიტიკურ პროცესზე ვისაუბროთ. პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ იგივე ქართული ოცნების ლიდერის მხრიდან მშვიდი და ასე ვთქვათ, უმოქმედო პოლიტიკის არჩევა ამ ეტაპისთვის არამომგებიანია და ეს საბოლოოდ არჩევნებში ხელისუფლების გამარჯვებამდე მიგვიყვანს. რამდენად არის გასათვალისწინებელი ამ ფონზე სახალხო კრების ინიციატივა, რომელიც ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნას ითვალისწინებს?***

– რაც შეეხება სახალხო კრების ინიციატივას, ძირითადად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს შეთავაზება ივანიშვილის კოალიციისკენ მიემართებოდა იმიტომ, რომ იქ იყო სურვილი და მცდელობა იმისა, რომ ეს ორი ძალა ერთად ყოფილიყო კოალიციაში. გარკვეული უარის შემდეგ გაკეთდა მსგავსი განცხადებები. რაც შეეხება დღეს შექმნილ ფონს, გახსოვთ, შემოდგომაზე ივანიშვილის პირველი გამოჩენისთანავე, პოლიტიკურ ავანსცენაზე საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი შეიქმნა, დიდი ეიფორია გაჩნდა. ჩვენ მაშინვე გამოვთქვამდით სკეპტიკურ მოსაზრებებს, ვამბობდით, ამგვარმა ეიფორიამ შეიძლება მოიტანოს გარკვეული სტაგნაციის პერიოდი, გარკვეული ბუნდოვანების პერიოდი. დღეს, როგორც ჩანს, სწორედ ასეთი პერიოდია. მე საერთოდ არ მიყვარს ხოლმე, როდესაც პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს დგამენ ძალიან ხმაურიანი განცხადებებით და მერე შეიძლება ისე ჩაიაროს ამ განცხადებებმა, რომ კვალიც კი ვერ ნახოს ვერავინ. ასეთი განცხადებები ამ ბოლო წლებში ერთი მეორის მიყოლებით ვნახეთ. ოქრუაშვილის ოპოზიციურ ფლანგზე ძალიან მძაფრი შემოჭრიდან დავიწყოთ და ნოღაიდელის ხმაურიანი განცხადებებით დავასრულოთ, რომელიც ამბობდა, ხელებს დაგამტვრევთო. ნოღაიდელის ეს განცხადებები ჩემთვის დღემდე გაურკვეველია რას ემყარებოდა. დღეს ნოღაიდელი სად არის, მისმა თანაპარტიელებმაც არ იციან. შემდეგ იყო ისევ ქართული პარტიის ძალიან ომახიანი შემოსვლა და ძალიან მალე დასასრული. ძალიან ტრაგიკულად დასრულდა ის, რაც სახალხო კრებამ წამოიწყო. მე ვფიქრობ, ივანიშვილსაც ასე დაემართა. მან ძალიან რიხიანი განცხადებები გააკეთა დასაწყისში, მაქსიმუმამდე ასწია თამასა, მოინდომა მთელი პოლიტიკური ველის მონოპოლიზაცია, მაგრამ რეალურად ამის განხორციელება ვერ შეძლო. მთავარია ივანიშვილის კოალიცია იქნება თუ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ მომავალი არჩევნებისთვის ოპოზიციონერი ამომრჩეველი არ იყოს ნიჰილიზმში ჩავარდნილი, რომ ის იყოს მოტივირებული, რომ ნამდვილად მივიდეს არჩევნებზე და ხმა მისცეს ოპოზიციას. ამ წლების მანძილზე ვხედავთ, რომ ხელისუფლების ამომრჩეველი მობილიზებულია და ხელისუფლება იმაზე მუშაობს, რომ მისი ამომრჩეველი მივიდეს არჩევნებზე და ხმა მისცეს. ყოველთვის პრობლემურია ოპოზიციური ამომრჩევლის ხელის ჩაქნევა, ნიჰილიზმი. როცა ჩვენი პარტიის ლიდერები სოფლებში გავდივართ, მუდმივად ვუმტკიცებთ ადამიანებს, რომ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ამომრჩეველი თავისი არმისვლით ხმას კი არ აკარგვინებს ხელისუფლებას, არამედ პროცენტულად ხმებს უმატებს. იმიტომ, რომ ხელისუფლების ამომრჩეველი ყოველთვის მიდის უფრო მეტი რაოდენობით არჩევნებზე. იმედია ამას ყველა პოლიტიკური ძალა გააცნობიერებს და მაქსიმალურად მოუწოდებს ამომრჩეველს, მივიდეს არჩევნებზე.

# მიხეილ სააკაშვილმა ბორჯომში სასტუმროს მშენებლობა დაათვალიერა


მიხეილ სააკაშვილი

პრეზიდენტმა გუშინ ბორჯომში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები და სასტუმროს მშენებლობა დაათვალიერა.

პრეზიდენტმა ბორჯომში საქართველოში უახლოეს პერიოდში ტურისტების ზრდაზე და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე ისაუბრა.

„საქართველოში ძალიან ბევრი ტურისტი ჩამოვა. 6 ახალ სასტუმროში კი– 1 000-მდე მოქალაქე დასაქმდება. სამწუხაროდ, მშენებლობისთვის პროფესიონალების ნაკლებობას განვიცდით, თუმცა, მოქალაქეებს პროფესიების ათვისების საშუალებას ვაძლევთ. მართალია, ცოტა პროფესიონალი გვყავს, მაგრამ ჩვენი მშენებლები ჩინელ და თურქ მშენელებს სჯობს" – განაცხადა მან.

პრეზიდენტთან ერთად, ბორჯომში ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების მინისტრი ვერა ქობალიაც იმყოფებოდა.

ნიუსპრესი

# თინა ხიდაშელი: სამოქალაქო რეესტრი ნახევარგვერდიან დასკვნას 90 დღის განმავლობაში წერდა


თინა ხიდაშელი

თუკი ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მინიჭების საკითხზე ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნა არაკანონიერი იყო, იუსტიციის სამინისტროს საქმე წარმოებაში არ უნდა მიეღო და დოკუმენტაცია უკან დაებრუნებინა, – ასე ეხმაურება „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი „ინტერპრესნიუსთან" საუბარში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს დასკვნას.

ხიდაშელი გადაწყვეტილებას „სასაცილოს" უწოდებს და ამბობს, რომ აღნიშნული ხელისუფლების შიშზე მიუთითებს.

„ძალიან სასაცილოა, რომ სამოქალაქო რეესტრი 90 დღის განმავლობაში წერდა ნახევარგვერდიან დასკვნას. ის, რაც ითქვა ტყუილი რომ არის, დასტურდება იმითაც, რომ თუ ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნა არასწორი იყო, მაშინ სამინისტროს ეს გადაწყვეტილება იმ წამსვე უნდა მიეღო. მან კი, არათუ უარი უთხრა, არამედ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზის გამოსწორებისთვის რამდენიმე დღიანი ვადა მისცა. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოა. როგორც ჩანს, შიშის განცდა იმდენად მაღალია ავლაბრის რეზიდენციაში, იმდენად არაკონკურენტუნარიანია მიხეილ სააკაშვილი, რომ იცის, სხვა შემთხვევაში ხელისუფლებიდან მისი ჩამოშორება გარდაუვალი იქნებოდა", – აღნიშნა ხიდაშელმა.

ინტერპრესნიუსი

# მამუკა კაციტაძე მარნეულის სოფლების მოსახლეობის პრობლემებს გაეცნო


მამუკა კაციტაძე

ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე მარნეულის სოფლების მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემებს გაეცნო. კაციტაძე აცხადებს, რომ სოფელ შაუმიანის მოსახლეობა სოფლის გაზიფიცირებას ითხოვს.

„სოფლების გაზიფიცირების პროცესი ნელა მიმდინარეობს. ენერგეტიკის სამინისტრომ ის პერსპექტივა მაინც უნდა გაგვაცნოს, რომელიც გაზიფიცირების თვალსაზრისით უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი. სადაც უნდა ჩახვიდე, მოსახლეობა იმას გეუბნება, რომ გაზი ესაჭიროება, რადგან შეშა ძალიან ძვირია და თან მისი მოხმარება არაკომფორტულია", – განაცხადა კაციტაძემ.

მისი თქმით, მოსახლეობას პრობლემები აქვს საგაზაფხულო სამუშაოების წარმოების პროცესშიც. „საწვავი კიდევ 5 თეთრით გაძვირდა, ანუ 30 ლარიანი ვაუჩერი პრაქტიკულად გაძვირებული საფასურის დაფარვას დასჭირდება. თანაც, მოსახლეობას ამ თანხას ხელზე არ აძლევენ და სასუქის შეძენას ავალდებულებენ. ასე რომ, ვაუჩერების გაცემის პროგრამა არაეფექტურია და ის მოსახლეობის პრობლემას ვერ ხსნის",– განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გივი თარგამაძე: ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჰქონდა და უნდა გაფრთხილებოდა

თეა მარხვაიძე

ბიძინა ივანიშვილმა ტყუილად დაიქადნა, სააკაშვილი ვერ გაბედავს, მოქალაქეობა არ მომცესო. სააკაშვილმა გაბედა. ივანიშვილი კი მოქალაქეობის გარეშე დარჩა. ამ ფაქტმა ბუნებრივია დიდი მღელვარება გამოიწვია. ოპოზიციის მსგავსად ნაციონალებიც აშკარად აჟიტირებულები არიან.


გივი თარგამაძე

ოპოზიციისგან განსხვავებით ისინი მოქალაქეობაზე უარის თქმას პოლიტიკას არ უკავშირებენ. მათ ამ თემის პოლიტიზებაც უზნეობად მიაჩნიათ. ამ აზრზეა პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეც. რომელიც ბოლო დროს ძალიან პასიურია. ბოლო თვეების განმავლობაში მან მხოლოდ რამდენიმე კომენტარი გააკეთა. და ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ ის ძირითადად ბიძინა ივანიშვილზე საუბრობდა.

გივი თარგამაძე ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანას ხელოვნურს უწოდებს.

როგორც თარგამაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, თავის დროზე ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა მინიჭებული ჰქონდა და ის, როგორც მინიმუმ, ამ საკითხს ან გულგრილად მოეკიდა ან მისი მნიშვნელობა უგულებელყო. აქედან გამომდინარე, გივი თარგამაძეს ახლანდელი აჟიოტაჟი დაგვიანებულ სინანულს აგონებს.

– ის ფორმები, რომლითაც ივანიშვილი მოქალაქეობის მიღებას ცდილობს, არ არის სწორი გზა, რომლითაც უნდა ეცადო ამ უფლების დაბრუნებას. ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის აღდგენის გზა გამართლებული არ არის. ის, რომ ივანიშვილმა პოლიტიკური საქმიანობა გადაწყვიტა, ან ის, რომ ბევრი ფული აქვს, მას კანონის თვალში სხვა ამავე პრობლემის მქონე ადამიანებისგან არ გამოარჩევს, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

თარგამაძის მსგავსად ფიქრობენ სხვა ნაციონალები. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი ამტკიცებს, რომ ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი პოლიტიკურ პროცესებს არ უკავშირდება.

როგორც ჟურნალისტებს კუბლაშვილმა განუცხადა, ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი სამართლებრივია და ამის მიღმა მხოლოდ სამართლებრივი შედეგი დგება.

– კანონი ერთნაირია მოქალაქეობის მიმართ, მიუხედავად იმისა, როგორია მათი სოციალური აქტივობა და მათი ფინანსების რაოდენობა რამდენს შეადგენს. კანონის თანახმად, ორი პროცედურა არსებობს და ეს სამოქალაქო რეესტრს განმარტებული აქვს. კანონის თანახმად, ნატურალიზაციით, მოქალაქეობას ის პირები იღებენ, რომლებსაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა არ აქვთ. ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება კი, პირისთვის იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სხვა ქვეყნის მოქალაქეა. ამ შემთხვევაში, საფრანგეთის მოქალაქეს – ბიძინა ივანიშვილს ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით უნდა მიემართა, – განაცხადა მან.

ნაციონალების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ სააკაშვილი ივანიშვილს მოქალაქეობას არ მოუჟმოტავდა. მეორე ნაწილილი მოქალაქეობის აღდგენის წინააღმდეგი იყო. ამ ფრთას აკაკი მინაშვილი და ნუგზარ წიკლაური მეთაურობდნენ.

ალბათ ყველას გახსოვთ, რა მკაცრი განცხადება გააკეთა ივანიშვილმა. მან განაცხადა, აბა, გაბედოს სააკაშვილმა და მოქალაქეობა არ მომცესო.

ვერ გეტყვით, რისი ან ვისი იმედი ჰქონდა იმ მომენტში ივანიშვილს. მაგრამ ძალიან დარწმუნებული კი ჩანდა. თუმცა სულ ტყუილად. სააკაშვილმა გაბედა. და ახლა ანცი ნაციონალები ფეისბუქზე ამაყად წერენ: გავბედეთ!

უკან არც ბიძინას ფრთა იხევს და ამტკიცებენ, რომ ელირსებაო ბიძინას ჭორვილას გორზე დადგომა.

# „ლეიბორისტები“ მოსახლეობისთვის წყლის გადასახადის ჩამოწერას მოითხოვენ

– „ლეიბორისტები“ მოსახლეობისთვის წყლის გადასახადის ჩამოწერას მოითხოვენ.

პარტიის წევრების განცხადებით, პრეზიდენტ სააკაშვილის საკუთრებაში არსებული კომპანიები მოსახლეობაში ოფიციალური გაფრთხილებების დარიგებით წყლის არარსებული დავალიანების დაფარვას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პირადი ქონების დაყადაღებითა და გაყიდვით იმუქრებიან.

„ლეიბორისტების“ შეფასებით, ამ ქმედებით მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“ მოსახლეობისგან „წინასაარჩევნო ხარკის“ შეგროვებას ცდილობს, მობილიზებული თანხების დახარჯვას კი არჩევნების გაყალბებისთვის გეგმავს. „ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია წინასაარჩევნოდ თბილისელებისათვის შეწერილი მორიგი სახელისუფლო ხარკი და სააკაშვილისაგან წყლის დავალიანებების ჩამოწერას მოვითხოვთ, ვინაიდან, როგორც ცნობილია, აღნიშნულ კომპანიას მოსახლეობის გასაღლეტად სააკაშვილის ბიზნეს-მაფია ფლობს“, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

# ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა არ მისცეს

## სააკაშვილი ივანიშვილს ჭკუას არიგებს

შალვა ჯოხაძე

სააკაშვილი ივანიშვილს მოქალაქეობას დაუბრუნებდა თუ არა, მაინც ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა. მოკლედ, ორ ცეცხლს შუა იყო და აქედან ძალიან უცნაური გამოსავალი მოიფიქრა. ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობაზე უარი უთხრეს, თუმცა, არც უთხრეს.

ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ასეა დასათაურებული: „ბიძინა ივანიშვილმა მოქალაქეობის მისაღებად ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების პროცედურას უნდა მიმართოს“. მოკლედ, სააკაშვილი ივანიშვილზე თითქოს დარდობს და მას ჭკუას ასწავლის, როგორ უნდა მოიქცეს.


ბიძინა ივანიშვილი

ბიძინა ივანიშვილზე „მზრუნველი“ ხელისუფლება აცხადებს, რომ 4 აპრილს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ გამოსცა დასკვნა ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც განცხადება საქართველოს მოქალაქეობის მიღების თაობაზე 2012 წლის 5 იანვარს წარადგინა.

– საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად ითვალისწინებს ორ პროცედურას:

პირველი – ნატურალიზაცია: იმ პირთათვის, რომლებიც არ არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები.

მეორე – ორმაგი მოქალაქეობა: მოქალაქეობის მინიჭება იმ პირთათვის, რომლებიც ამავდროულად არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები.

საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღების თხოვნით მიმართა. სხვა ქვეყნის მოქალაქის მიერ ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ბიძინა ივანიშვილს, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქეს, საქართველოს მოქალაქეობის მიღების მიზნით უნდა მიემართა ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით.

მსგავსი თხოვნით ბიძინა ივანიშვილს შესაბამისი ორგანოებისთვის დღემდე არ მიუმართავს.

მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი პროცედურების დაცვის შემთხვევაში, – აცხადებენ ოფიციალური უწყებები.

ბუნებრივია, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ხელისუფლების მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურნენ. პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ ივანიშვილი კოალიციის ლიდერად დარჩება, რომელსაც ერქმევა „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ და იქნება პრემიერობის კანდიდატიც. მოქალაქეობის საკითხს რაც შეეხება, ბიძინა ივანიშვილი ამაზე თავად დღეს, 5 აპრილს ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს ისაუბრებს.

სანამ თავად ბიძინა ივანიშვილის პირადი მოსაზრებების შესახებ შევიტყობთ, კოალიციის სხვა წარმომადგენლები აკეთებენ განცხადებებს.

– ეს გადაწყვეტილება ტყუილსა და უკანონობას ეფუძნება. თავის დროზე, მოქალაქეობის ჩამორთმევა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რაც მიხეილ სააკაშვილის შიშით გახლდათ გამოწვეული, რადგან მან იცის საზოგადოების რეალური განწყობა და რეიტინგები. ის კარგად ხვდება, რომ თავად არ არის კონკურენტუნარიანი. ამგვარი უკანონობის განხორციელება მას ძლიერი კონკურენტის შიშით დასჭირდა, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ივანიშვილის პრესსპიკერის თქმით, ამით კოალიციის გეგმები არ შეიცვლება, ის გაიმარჯვებს ოქტომბრის არჩევნებში და დასახული გეგმა რეალობად იქცევა.

მაია ფანჯიკიძესთან ერთად, ხელისუფლების გადაწყვეტილების შესახებ განცხადება ბიძინა ივანიშვილის გუნდის წარმომადგენელმა იურისტებმაც გააკეთეს. ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ ჩვენი კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს, რომ ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების მსურველი პირი ციდან ვერ ჩამოვარდება, ის რომელიმე ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს.

– ასე რომ, ეს არ არის უარის თქმის საფუძველი, თითქოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ აქვს ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღების მოთხოვნაზე განაცხადის უფლება, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ქუცნაშვილს იუსტიციის სამინისტროს არაადეკვატური გადაწყვეტილების დასტურად თვით პრეზიდენტის დადგენილება მოჰყავს.

– ამ ბრძანებულების მიხედვით, პირი, რომელიც ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღებას ითხოვს, ვალდებულია, მიუთითოს იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომელი ქვეყნის მოქალაქეცაა განცხადების მიმართვისას, – აღნიშნა იურისტმა.

ბიძინა ივანიშვილის კიდევ ერთი თანაგუნდელის, არჩილ კბილაშვილის თქმით, სამოქალაქო რეესტრის გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან მოქმედი კანონმდებლობა ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღებას სწორედ იმ პირობებში ითვალისწინებს, როცა პირი უცხო ქვეყნის მოქალაქეა. კბილაშვილიც იმავე ბრძანებულებაზე მიუთითებს, რაზეც ქუცნაშვილი.

– პრეზიდენტის 2009 წლის 30 იანვრის №34 ბრძანებულებას, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციის გზით მიღების წესს შეეხება, თან ერთვის განცხადების ფორმის დანართი. ამ დანართით საქართველოს პრეზიდენტს უნდა მიმართო. დანართის მე-11 პუნქტში არის ასეთი შინაარსის ჩანაწერი: „ჩემი თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში თანახმა ვარ, უარი განვაცხადო ამა და ამ ქვეყნის მოქალაქეობაზე“. ეს ნიშნავს, რომ პირი, რომელიც პრეზიდენტს ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების თხოვნით მიმართავს, იმ მომენტისთვის რომელიღაც ქვეყნის მოქალაქეა, – განაცხადა კბილაშვილმა.

ამას გარდა არსებობს 1996 წელს მიღებული კონვენცია, რომელიც აპატრიდი პირების არსებობას კრძალავს. კბილაშვილის განმარტებით, აპატრიდი ჰქვია პირს, რომელსაც მოქალაქეობა არ აქვს.

– ადამიანი, თავისთავად, ციდან არ ვარდება და ბუნებრივია, მას რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა აქვს. ასე რომ, თუ ხელისუფლების გადაწყვეტილებას სამართლებრივად შევხედავთ, უკანონოა და ჩვენ მას სასამართლოში გავასაჩივრებთ, – აღნიშნა იურისტმა.

კბილაშვილი აცხადებს, რომ იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის გადაწყვეტილება ამ ეტაპზე არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ივანიშვილის მოთხოვნაზე უარის თქმა.

– იუსტიციის სამინისტროს ეს გადაწყვეტილება არის შუალედური დასკვნა, რომელიც პრეზიდენტმა ან უნდა გაითვალისწინოს, ან არა. ვადა 5 აპრილს იწურება და უარის თქმად მხოლოდ იმის შემდეგ შეიძლება შეფასდეს, თუკი ქვეყნის პირველი პირი მას დაეთანხმება, – აღნიშნა კბილაშვილმა.

# გია ხუხაშვილი: საქართველოში საშუალო ხელფასად 603 დოლარის დასახელება სრულიად არასერიოზულია

ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი სრულიად არასერიოზულად აფასებს იმ კვლევის შედეგებს, რომლის თანახმადაც, საქართველოში საშუალო ხელფასი 603 აშშ დოლარია.


გია ხუხაშვილი

„მედიანიუსთან“ საუბრისას იგი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამის მონაცემებს გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, საქართველო ამ მაჩვენებლით მსოფლიოში 59-ე ადგილს იკავებს.

ექსპერტის მოსაზრებით, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია, ეს რიცხვი მანიპულაციის გზითაა მიღებული და არასერიოზულ სტატისტიკას ეფუძნება.

..ეს აბსოლუტურად არასერიოზულია, რადგან საშუალო შემოსავალი მოსახლეობისგან იანგარიშება. უმუშევრობის იმ დონის ქვეყანაში, როგორიც საქართველოშია და იმ ხელფასების გათვალისწინებით, რაც საჯარო თუ კერძო სექტორშია, 603 დოლარი ყოვლად წარმოუდგენელი რიცხვია და არაფერზე მეტყველებს. მაშინ, როცა ქვეყნის 70 პროცენტი თავს უმუშევრად მიიჩნევს, ასეთი საუბარი ღრმად არასერიოზულია“, — აღნიშნა გიორგი ხუხაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს სტატისტიკის სამსახური, ძირითადად, „პროპაგანდასა და არარეალურ ვითარებაზე“ მუშაობს. სამსახური მონაცემებს საერთაშორისო ექსპერტებს აწვდის, რომელთაც ამის გადამოწმება და ის ვერ წარმოუდგენიათ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტი შეიძლება, კალკულაციით იყოს დაკავებული. შესაბამისად, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებიც საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებს ეფუძნება.

რაც შეეხება იმას, რომ შესაბამისი კვლევა მსოფლიოს 72 ქვეყანაში ჩატარდა, რომელშიც ღარიბი სახელმწიფოები ვერ მოხვდნენ, გიორგი ხუხაშვილის მოსაზრებით, ხელისუფლებამ შედეგი კიდევ ერთ ვირტუალურ რეიტინგში მოიპოვა.

„ვულოცავ ხელისუფლებას. მან შედეგი ვირტუალური კეთილდღეობის კიდევ ერთ რეიტინგში მოიპოვა, მაგრამ ამას დამშეულ მოსახლეობას ვერ აჭმევ“, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

მედიანიუსი

# საქართველო ხელფასის საშუალო მაჩვენებლით 59-ე ადგილს იკავებს

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო საშუალო ანაზღაურების მაჩვენებლით მსოფლიოში 59-ე ადგილს იკავებს. ამ მონაცემით იგი აზერბაიჯანს, ეგვიპტეს, ტაილანდს, სომხეთს, დომინიკელთა რესპუბლიკას, მოლდოვას, მონღოლეთს, სირიას, ყირგიზეთს, ინდოეთს, ფილიპინებს, პაკისტანსა და ტაჯიკეთს უსწრებს.

საშუალო შემოსავლის მაჩვენებლით ლუქსემბურგი ლიდერობს. აქ საშუალო ხელფასი 4089 დოლარია. პირველ ათეულში ასევე შედიან: ნორვეგია, ავსტრია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, შვედეთი, ირლანდია, ფინეთი და სამხრეთ კორეა. რაც შეეხება რუსეთს, აქ საშუალო ხელფასი 1215 დოლარს შეადგენს და ის 37-ე ადგილს იკავებს.

შესაბამისი კვლევა მსოფლიოს 72 ქვეყანაში ჩატარდა. ღარიბი სახელმწიფოები ამ სიაში ვერ მოხვდნენ.

მედიანიუსი

2012, 5 აპრილი, №81

# ხელისუფლება საბიუჯეტო სახსრებს საარჩევნო მიზნებისათვის იყენებს

## რას ემსახურება სააკაშვილის ერთჯერადი აქციები

შალვა ჯოხაძე



**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდს მრავალი დარღვევა ახლავს, რაც პოლიტიკური პარტიებისათვის არსებულ არათანასწორ გარემოს კიდევ უფრო აღრმავებს. ამ თემაზე საიას თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილმა და საარჩევნო პროექტების კოორდინატორმა ლელა ტალიურმა „წინასაარჩევნო პროცესის მონიტორინგი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის“ პროექტის დახურვისა და საბოლოო ანგარიშის პრეზენტაციისას ისაუბრეს.**

– საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზის მიხედვით ჩანს, რომ 2011 წლის დეკემბრის ბოლოს საარჩევნო კოდექსში, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები ქმნის უთანასწორო საარჩევნო გარემოს, საფრთხეს უქმნის გამოხატვისა და საკუთრების უფლებებს, შეზღუდვებს უწესებს სამოქალაქო-პოლიტიკურ აქტივობებს, ადგენს არაგონივრულ და არაპროპორციულ სანქციებს. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების განხორციელებას. საია იმედს იტოვებს, რომ საქართველოს პარლამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის მიღწეული შეთანხმებით აღმოიფხვრება კანონში არსებული საფრთხეები და პრობლემური საკითხები.

საარჩევნო წელს ხელისუფლების მიერ არაერთი მასშტაბური, ერთჯერადი საბიუჯეტო პროგრამის ინიცირება მოხდა, რაც მნიშვნელოვან საბიუჯეტო რესურსებს მოითხოვს, სულ უფრო და უფრო აფერმკრთალებს სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვარს და არათანაბარ პირობებს ქმნის პოლიტიკური პარტიებისათვის. მიგვაჩნია, რომ მსგავსი პროგრამების განხორციელებით ხელი ეშლება საქართველოში სამართლიანი და პოლიტიკური გაერთიანებისთვის თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფას და იქმნება წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნოდ გამოყენების რისკები.

კონტროლის პალატის და შემდგომ შსს-ს მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციით განხორციელდა და ცალკეულ შემთხვევებში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას შეიძლება წარმოადგენდეს, ნაკლებად ჰგავდა პოლიტიკური პარტიების ფინანსების შესწავლის მიზნით განხორციელებულ საქმიანობას და პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა დევნის სახე შეიძინა.

მით უფრო საარჩევნო წელს, ეს უარყოფითად აისახება მოქალაქეთა ჩართულობაზე და კიდევ უფრო დაამძიმებს წინასაარჩევნო გარემოს ქვეყანაში, – ასკვნიან საიაში.

საია შეშფოთებას გამოხატავს პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა დევნის, დაშინების, სამსახურიდან გათავისუფლებისა და ზეწოლის არაერთ ფაქტთან დაკავშირებით, რასაც დღემდე შესაბამისი ორგანოების მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. ასეთი ფაქტების სიმრავლე და ინტენსიობა კიდევ უფრო უსვამს ხაზს არასამართლიანი და არაკონკურენტული საარჩევნო გარემოს არსებობას ქვეყანაში.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განსაკუთრებით საბიუჯეტო რესურსების საკითხით დაინტერესდა, რადგან ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო სხვადასხვა პროგრამის ინიცირების ტენდენცია წინასაარჩევნოდ, რაც, შესაძლოა, უშუალოდ არ ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის კონკრეტულ ნორმებს, თუმცა თავისი არსით წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების გამოყენებას საარჩევნო მიზნებისათვის.

საიას ინფორმაციით, საარჩევნო წელს ბიუჯეტში ე.წ. სხვა ხარჯებისათვის გამოყოფილი თანხების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ამას გარდა, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდები კვლავ 50-50 მილიონი ლარია. ბოლო ცვლილებებით, სარეზერვო ფონდების მიზანი უკიდურესად გაფართოვდა. ეს ქმნის საფრთხეს, რომ ამ ფონდებიდან ძირითადად ამომრჩეველზე ორიენტირებული ღონისძიებები დაფინანსდეს.

საქართველოს წლევანდელ ბიუჯეტში ხარჯების ზრდა რამდენიმე მიმართულებით მოხდა, კერძოდ, სოციალური დაცვის (მათ შორის, საპენსიო უზრუნველყოფის), ინფრასტრუქტურის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდების განხრით. საიას ცნობით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში პრეზიდენტმა არაერთი ისეთი პროგრამის ინიცირება მოახდინა, რაც მოქალაქეებისათვის გარკვეული შეღავათისა და ფულადი სახსრების გადაცემას გულისხმობს. მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერის გაცემის პროგრამა; სტუდენტთა დასაქმების პროგრამა საზაფხულო არდადეგებზე; ელექტროენერგიის ვაუჩერის გაცემის პროგრამა.

მაგალითად, საიაში განმარტავენ, რომ პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სტუდენტთა დასაქმების პროგრამა „სამერ ჯობ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ზაფხულის არდადეგების პერიოდში 2012 წლის 20 ივლისს ამოქმედდება და 20 აგვისტომდე გასტანს.

– პროექტის ფარგლებში ოცდახუთი ათასი სტუდენტი დასაქმდება. თითოეული დასაქმებული სტუდენტის ანაზღაურებისთვის სახელმწიფოს მიერ 500 ლარია გამოყოფილი. სტუდენტების რეგისტრაცია ელექტრონულად მიმდინარე წლის 20 მარტიდან 20 აპრილამდე უნდა განხორციელებულიყო, თუმცა, აღმოჩნდა, რომ სასწავლებლების თვითმმართველობები წინასწარ არეგისტრირებდნენ მათ მიერ არჩეულ სტუდენტებს საიტზე და მათ სიებს განათლების სამინისტროში აგზავნიდნენ, რამაც სტუდენტთა ნაწილის პროტესტი გამოიწვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ლოგო ჰგავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ნომერს, რამაც შესაძლოა საზოგადოების თვალში სახელმწიფო ბიუჯეტით განხორციელებული ღონისძიების პარტიულ საქმიანობასთან გაიგივება გამოიწვიოს, – აცხადებენ საიაში და დასძენენ, რომ ეს ყველაფერი საერთაშორისო კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, რომლის თანახმადაც არ უნდა მოხდეს სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების აღრევა.

მასშტაბური და ერთჯერადი ხასიათის მქონე კიდევ ერთი ინიციატივის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა 2012 წლის 16 თებერვალს გააკეთა განცხადება, რომელიც მოსახლეობისათვის ელექტროვაუჩერების გადაცემას გულისხმობდა.

– მკაცრი ზამთრის პირობებიდან გამომდინარე, მოქალაქეებს გაუთვალისწინებელი პრობლემები შეექმნათ და პრეზიდენტის განცხადებით, ვაუჩერების გაცემა სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას თბილისის მერიის მიერ ინიცირებული პროექტებიდან ერთ-ერთი სწორედ მერიის მიერ კომუნალური გადასახადების თანაგადახდის ვაუჩერების გამოცემას ითვალისწინებდა. 2012 წლის 28 თებერვალს, საქართველოს პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა ძირითადი აქცენტები დაგეგმილ პროექტებზე გააკეთა და რამდენიმე ინიციატივაც გააჟღერა. კერძოდ: 1 000 ლარიანი ვაუჩერები პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის; ასაკით პენსიონერების ჯანმრთელობის დაზღვევა 2012 წლის სექტემბრიდან; 2013 წლის 1 იანვრიდან ერთჯერადი 1 000 ლარიანი ვაუჩერი ყოველ ოჯახზე მესამე შვილის შეძენისას და მე-4 და მომდევნო შვილზე 2 000 ლარიანი ვაუჩერი; 2013 წლის იანვრიდან მრავალშვილიანი ოჯახების შვილების დაზღვევა, – აცხადებენ საიაში.

საიას მონაცემებით, 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტებით გაზრდილია სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება. ასეთ ფაქტს ადგილი აქვს საიას მიერ შესწავლილი თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და გორის ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზისას.

– ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისეთი პროექტების განხორციელება, რომელთა დაფინანსებაც მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო – 2010 და 2012 – წლებში მოხდა და არანაირი დაფინანსება არ ყოფილა გამოყოფილი 2011 წლის ბიუჯეტით. ასეთია, მაგალითად, ეზოებში საბავშვო ატრაქციონების დამონტაჟებისთვის ქუთაისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 300 000 ლარი; სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებული ხარჯი გორის ბიუჯეტში, რომელიც მხოლოდ საარჩევნო – 2010 და 2012 – წლებშია დაფინანსებული, განსხვავებით 2011 წლისგან, როდესაც ბიუჯეტიდან აღნიშნული მიმართულებისთვის არანაირი თანხა არ ყოფილა გამოყოფილი; მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები ქუთაისში. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ძირითადი ნაწილი ქუთაისში დაფინანსდა 2010 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წელს და იგეგმება 2012-ში – საპარლამენტო არჩევნების წელს, – აღნიშნავენ საიაში.

2011 წლის ბოლოსა და 2012 წლის დასაწყისში ინიცირებული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო პროექტების, ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტების ცალკეული პროგრამების ანალიზის შედეგად, შემდეგი სურათი გამოიკვეთა: 2011 წლის ბოლოს და 2012 წლის დასაწყისში ადგილი აქვს ხელისუფლების მიერ მასშტაბური ერთჯერადი საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებას, რომელიც, თავისი არსით, ბევრ კითხვას ბადებს. შესაძლოა, ამ წამოწყებების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სახელმწიფო რესურსებით საარჩევნო ამოცანების მიღწევა იყოს. საიას იურისტებს ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. ერთჯერადი ხასიათის პროექტები მნიშვნელოვან საბიუჯეტო რესურსს მოითხოვს, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში მისი ეფექტიანობა ნაკლებადაა დასაბუთებული. ამასთანავე, ეს ინიციატივები სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვარს აფერმკრთალებს, რითაც ირღვევა ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები. ხელისუფლების მიერ მსგავსი მასშტაბური პროექტები რატომღაც ყოველთვის წინასაარჩევნო პერიოდში ხორციელდება.

– მასშტაბური ერთჯერადი საბიუჯეტო პროგრამების ინიცირების ტენდენცია და მათი განხორციელება წინასაარჩევნოდ, შესაძლოა უშუალოდ არ ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის კონკრეტულ ნორმებს, თუმცა, თავისი არსით, საბიუჯეტო სახსრების გამოყენებას წარმოადგენს საარჩევნო მიზნებისათვის და არათანაბარ პირობებს ქმნის პოლიტიკური პარტიებისათვის.

2012 წლის ბიუჯეტებით, იკვეთება ცალკეული პროგრამების დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც ადგილი არ ჰქონია წინა წლების ბიუჯეტებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ გაზრდილი პროგრამების ძირითადი ნაწილი ამომრჩეველთა სერვისთან არის დაკავშირებული და მათი კმაყოფილების დონის ამაღლებას ისახავს მიზნად. ეს კი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საფუძველი შეიძლება გახდეს წინასაარჩევნოდ.

ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ხდება ისეთი ახალი ღონისძიების დასაფინანსებლად მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფა, რომელიც საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული 2010 და 2011 წლების ბიუჯეტებში, რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს; ასევე ადგილობრივი ბიუჯეტებით ადგილი აქვს ისეთი პროექტების გათვალისწინებას, რომელთა დაფინანსებაც მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო – 2010 და 2012 – წლებში მოხდა და არანაირი დაფინანსება არ ყოფილა გამოყოფილი არასაარჩევნო 2011 წლის ბიუჯეტით.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი პროგრამების განხორციელებით, ხელი ეშლება საქართველოში სამართლიანი და პოლიტიკური გაერთიანებისთვის თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფას და იქმნება წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნოდ გამოყენების რისკები.

მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინოს კეთილი ნება, წინასაარჩევნოდ არ განახორციელოს ისეთი ერთჯერადი და სპონტანური საბიუჯეტო პროექტები და ამ გზით პოლიტიკური გაერთიანებებისთვის თანაბარი პირობები უზრუნველყოს, – აცხადებენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

## ონიშენკო: რუსეთში ქართული პროდუქციის დასაბრუნებლად ბარიერები არ არსებობს

რუსეთის ბაზარზე „ბორჯომის“ დასაბრუნებლად ბარიერები არ არსებობს. განცხადება ამის შესახებ რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშენკომ გააკეთა.

როგორც „რია ნოვოსტი“ იუწყება, სამსახურის სპეციალისტები მზად არიან, ინსპექტირებისთვის საქართველოში ჩამოვიდნენ.

„არანაირი ბარიერი არ არსებობს, ჩვენ მზად ვართ საქართველოში ჩავიდეთ „ – განაცხადა ონიშენკომ.

რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შეტანა 2006 წელს აიკრძალა. აკრძალვის ოფიციალურ მიზეზად პროდუქციის დაბალი ხარისხი დასახელდა.

ნიუსპრესი

## გორში მოქმედი ყაჩაღური ჯგუფი დააკავეს

შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს და შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის მიერ დაკავებულია ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფი: 24 წლის რევაზ ამბროლაძე, 30 წლის. ლევან ახალკაცი, 23 წლის დავით გვერდწითელი და 22 წლის. გელა ოქროპირიძე.

გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ 2009 წლის 19 ნოემბერს აღნიშნული ჯგუფის წევრები ნიღბებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით და პისტოლეტებით შეიარაღებულები შეიჭრნენ ქ. გორში მდებარე ინტერნეტ-კაფეში, სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით აღნიშნულ ინტერნეტ-კაფეში მყოფი მოქალაქეები ძირს დააწვინეს, შეუკრეს ხელ-ფეხი, იქ არსებული კომპიუტერებიდან ამოიღეს ძვირადღირებული დეტალები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ასევე, ზემოთ ჩამოთვლილმა ჯგუფის წევრებმა, 2009 წლის დეკემბრის თვეში, ხაშურის რაიონის სოფელ ვაყაში ნიღბებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, სანადირო თოფით, ხელყუმბარით და პისტოლეტებით შეიარაღებულები თავს დაესხნენ აბესალომ მახარაშვილის ოჯახს. მის მეუღლეს – ლია მახარაშვილს, შვილებს – გიორგი და სალომე მახარაშვილებს და სიძეს გიორგი ბოკერიას ე.წ. ‚სკოჩით“ შეუკრეს ხელ-ფეხი და სისცოცხლის მოსპობის მუქარით გაიტაცეს 3 200 აშშ დოლარი, 1 000 ლარი და 3 ცალი „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი.

ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 3 ცალი გადაჭრილი სანადირო თოფი და 1 ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 30 ცალი საბრძოლო ვაზნით.

დაკავებულები აღიარებენ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს.

მედიანიუსი



ბათუ ქუთელია

## ქუთელია: ჩვენი ამოცანაა მზად ვიყოთ რუსეთის გამოწვევებისთვის

წვრთნა „კავკასია 2012“ საქართველოსთვის, რომ საფრთხეს წარმოადგენს ცხადია. ამის შესახებ უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ „ნიუსპრესსთან“ განუცხადა.

მისი განცხადებით, ამ საფრთხეზე როგორც რუსეთის მიერ დეკლარირებული, ისე განხორციელებული გეგმები მეტყველებენ. ქუთელიამ განხორციელებულ გეგმებში ომი, კიბერშეტევა და ოკუპირებულ ტერიტორიებთან განხორციელებული ტერაქტები იგულისხმა.

„დეკლარირებულში კი სწორედ ისეთ სცენარს ვგულისხმობ, როგორიცაა „კავკასია 2012“. ასევე, საქართველოს და მისი დედაქალაქის რუსეთის მიერ სამიზნედ არჩევა. როგორც მოგეხსენებათ, ასეთი კადრები გავიდა ტელევიზიით“ – განმარტა ბათუ ქუთელიამ.

უშიშროების საჭოს მდივნის მოადგილის განცხადებით, ბუნებრივია ხელისუფლება მშვიდად ვერ იქნება, რადგან რუსეთის დეკლარირებულ გეგმებში საქართველოსა და მთლიანად რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაცია შედის. „ჩვენი ამოცანაა მზად ვიყოთ იმ გამოწვევებისთვის რასაც რუსეთი საქართველოს უგზავნის“ – განაცხადა ქუთელიამ.

რუსეთი სწავლება „კავკასია 2012-ის“ ჩატარებას სექტემბერში გეგმავს. რუსეთის თავდაცვის სამინიტროს ინფორმაციით, სწავლებას სამხედრო სფეროში რეფორმის გატარების მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება და მასში ჩაერთვება ყველა სახის ელექტრო და კოსმოსური დაზვერვისა და კავშირის საშუალებები, უპილოტო აპარატურა და შეიარაღება.

ნიუსპრესი

## ზუგდიდის საავადმყოფოდან კიდევ ერთი ექიმი გაათავისუფლეს

ზუგდიდის მრავალპროფილიანი საავადმყოფო „რესპუბლიკადან“ სამსახურიდან კიდევ ერთი ქირურგი, კამო ახალაია გაათავისუფლეს. ამის შესახებ პორტალი „ლაივპრესი“ იუწყება.

აღნიშნული ინფორმაცია „ალდაგი ბისიაის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, მაია ივჩენკომაც დაადასტურა. მისი თქმით, კამო ახალაია ზვიად თოლორაიას მსგავსად, საპროტესტო აქციის ორგანიზატორობისთვის გაათავისუფლეს.

„ვიმეორებ, ჩვენთვის მიუღებელია პროტესტის ასეთი ფორმა“, -აცხადებს მაია ივჩენკო. მისივე თქმით, სხვა თანამშრომლების გათავისუფლების საკითხი ჯერჯერობით არ განიხილება.

შეგახსენებთ, რომ ზუგდიდის საავადმყოფო „რესპუბლიკადან“ თანამშრომელი გუშინაც გაათავისუფლეს.

ბავშვთა ქირურგი დავით თოლორაია მას შემდეგ დაითხოვეს, რაც ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს „რესპუბლიკა“ ექიმებმა ხელფასების გაზრდის მოთხოვნით 2 აპრილს საპროტესტო აქცია გამართეს.

სამედიცინო პერსონალი ხელფასებით უკმაყოფილოა მას შემდეგ, რაც ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაიმ“ შეიძინა. საავადმყოფო გარდა სადაზღვევო კომპანიამ ზუგდიდში მოზრდილთა პოლიკლინიკა, სასწრაფო სამედიცინო დახმარება „03“ და შპს „ქალთა კონსულტაცია“ შეიძინა.

მედიანიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარლამენტი 21 წლის ბავშვების თავშესაფარი არ არის

## ვის ეგონა კობა ხაბაზი თბილისის დამაარსებელი

თეა მარხვაიძე

იდეებით დატვირთულმა ჩვენმა ხელისუფლებამ ხალხს და ოპოზიციას ახალი სალაპარაკო გაუჩინა. ნაცმოძმა გადაწყვიტა, რომ პარლამენტი თინეიჯერებით დააკომპლექტოს.

საქართველოს პარლამენტში მომზადებულია საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი, რომლის თანახმადაც სადეპუტატო ასაკი 25-დან 21 წლამდე მცირდება. ამ ცვლილების ინიციატორი 80 დეპუტატია.

პარლამენტის გასაახალგაზრდავებელ ინიციატივას დიდი შფოთი მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი პოზიცია თითქმის ყველა ოპოზიციურმა პარტიამ დააფიქსირა.

აღშფოთება „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ახალგაზრდულმა ფრთამაც გამოხატა. ახალგაზრდებმა ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენციაც გამართეს.

ისინი სადეპუტატო ასაკის დაწევას ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯად აფასებენ.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ასაკის დაწევას აღნიშნული ცვლილების ინიციატორები, ახალგაზრდების წახალისებად და მხარდაჭერად აფასებენ.

„ქვეყანაში, სადაც 21 წლის ახალგაზრდას დღევანდელი სტანდარტებით პრაქტიკულად სწავლა დასრულებული არ აქვს, დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს ამ ასაკის ახალგაზრდები იღებდნენ, მით უმეტეს, იმ ქვეყანაში მცხოვრები ახალგაზრდები, სადაც არ არსებობს ობიექტური ინფორმაციის წყარო და მთელი თაობა „ნაციონალური მაუწყებლობების“ მიერ შექმნილ ვირტუალურ რეალობაში აღიზარდა“ – აცხადებენ „დემოკრატიულ მოძრაობაში“

მათი თქმით, ქვეყანაში, სადაც 300 000 პრობაციონერიდან 70% ახალგაზრდაა და სადაც სტუდენტების უდიდეს ნაწილს განათლების მიღების კონსტიტუციური უფლება უკანონოდ აქვს ჩამორთმეული, ვერავინ დაიჯერებს, რომ ამ ნაბიჯით ახალგაზრდობის წახალისებას ცდილობს.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნული კანონპროექტი მიზნად ისახავს სტუდენტების უფრო აქტიურად ჩართვას სტუდენტურ თვითმმართველობებში, რომლებიც დღეს რეალურად „ნაციონალური მოძრაობის“ ფილიალებს წარმოადგენენ და რომლებიც არსებულმა რეჟიმმა სტუდენტთა ურთიერთდაპირისპირებისა და დაშინების იარაღად აქცია“ – აღნიშნავენ პარტიის წარმომადგენლები.

რას ერჩიან ახალგაზრდები სადეპუტატო ასაკის გაახალგაზრდავებას, ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელი ბესიკ დანელია გვესაუბრება.



ბესიკ დანელია

**ბესიკ დანელია:**

– არაფრით არ შეიძლება 21 წლის ასაკის ახალგაზრდა პარლამენტის წევრი გახდეს. ამ ასაკში ახალგაზრდას სათანადო განათლება არა აქვს. ამ ხელისუფლების წყალობით კი ახალგაზრდებს ტვინი აქვთ გამორეცხილი. აქედან გამომდინარე არ შეიძლება მათ კანონშემოქმედ საქმიანობაში მიიღონ მონაწილეობა. სამწუხაროდ, დღევანდელ ახალგაზრდებს თბილისის დამაარსებელი კობა ხაბაზი ჰგონიათ.

*– რას გულისხმობთ?*

– იმას, რომ ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ თბილისის დამაარსებლად კობა ხაბაზი მიიჩნია.

*– ეს ახალი ანეკდოტია?*

– ეს სამწუხარო რეალობაა. ერთ-ერთმა არხმა ჩაატარა ახალგაზრდების გამოკითხვა. სწორედ იქ თქვეს ახალგაზრდებმა, რომ კობა ხაბაზი თბილისის დამაარსებელია. როგორ შეიძლება ასეთი ახალგაზრდები დეპუტატები გახდნენ.

*– შეიძლება მათ მართლაც არ იციან, რომ თბილი ხაბაზს არ დაუარსებია. მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც მათ შეიყვანენ პარლამენტში?*

– ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ სწორედ ასეთი კატეგორია არ მოხვდება პარლამენტში. პოლიტიკას გამოცდილება სჭირდება.

*– ახალგაზრდული ორგანიზაცია თითქმის ყველა ოპოზიციურ პარტიას ჰყავს. თქვენც ახალგაზრდული ფრთის ლიდერი ხართ.*

– ახალგაზრდები პოლიტიკაში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც პარლამენტში უნდა მოხვდნენ.

*– თქვენ არ უმიზნებთ პარლამენტს?*

– არა. მე პოლიტიკაში იმიტომ არ ჩავერთე, რომ პარლამენტში მოვხვდე.

*– აბა, რატომ ხართ პოლიტიკაში?*

– იმიტომ, რომ მინდა უკეთესი ქვეყანა გვქონდეს. მინდა, რომ აქ დემოკრატია იყოს. ასე ფიქრობს პოლიტიკაში ჩართული ახალგაზრდების დიდი ნაწილი. ჩვენ მართლა ნათელი მომავლისთვის ვიბრძვით. ნათელ მომავალს კი ნაციონალები და მათი 21 წლის დეპუტატები ვერ მოგვიტანენ. პარლამენტი არის სერიოზული ორგანო და ის 21 წლის ბავშვების თავშესაფარი არ უნდა გახდეს.

# სახალხო დამცველი მურმან დუმბაძის განცხადებას დისკრიმინაციულს უწოდებს

საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში „ემსახურე საქართველოს“ ლიდერ მურმან დუმბაძეს რესპუბლიკური პარტიის ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, გიორგი მასალკინის მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს.

საქმე ეხება დუმბაძის მიერ 25-ე არხის ეთერით გაკეთებულ განცხადებას „გენით ქართველობის“ შესახებ.

„არ შემიძლია არ გამოვეხმაურო 31 მარტს, ბატონ მურმან დუმბაძის მიერ, 25-ე არხის ეთერით აზიზის მეჩეთის მშენებლობის საკითხისადმი მიძღვნილ გადაცემაში რესპუბლიკური პარტიის ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, გიორგი მასალკინის მისამართით გაკეთებულ განცხადებას.

ბატონი მურმანი აღნიშნულ გადაცემაში ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე გარკვეულ ზღვარს ავლებს საქართველოს სხვა მოქალაქეებსა და ეთნიკური წარმოშობით ქართველებს შორის, რაც რბილად რომ ვთქვათ დისკრიმინაციული დამოკიდებულებაა.

ვთვლი, რომ მსგავსი განცხადება უაღრესად კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს ჩემგან, როგორც უფლებადამცველისგან, რადგან დაუშვებლად მიმაჩნია ეთნიკური წარმომავლობის რაიმე სახის პრობლემად წარმოჩენა.

ამ ტიპის განცხადებების გაკეთებისაგან განსაკუთრებით პოლიტიკურმა მოღვაწეებმა უნდა შეიკავონ თავი, რადგან მსგავსმა რამ შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებაში შეუწყნარებლობის გაღვივებას, რაც საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ერთიანობას და შეურაცხყოფს არამარტო კონკრეტულ პიროვნებას, არამედ ზოგადად საქართველოს მოქალაქეების ღირსებას, ეწინააღმდეგება იმ ღირებულებებსა და მიზნებს, რომელთა დამკვიდრება საქართველოს მოქალაქეთა ურყევ ნებას წარმოადგენს და დეკლარირებულია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო ყველა პოლიტიკურ ძალას, სამოქალაქო ორგანიზაციასა და მედიასაშუალებას განსაკურებული ყურადღება გამოიჩინონ და მიიღონ სათანადო ზომები, რათა მათ მიერ ან მათი მეშვეობით სამომავლოდ არ მოხდეს დისკრიმინაციული გამონათქვამების, სიძულვილის ენისა და ქსენოფობიის ტირაჟირება“, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

მედიანიუსი

# გია გვაზავა: აფხაზეთში სერიოზული შიდა კრიზისია

თეა მარხვაიძე



გია გვაზავა

ჟენევის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით ჩვენში არაერთგვაროვანი აზრი არსებობს. ბევრი მიიჩნევს, რომ ამ მოლაპარაკებებს აზრი არა აქვს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ჟენევის მოლაპარაკებებს მაინც მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

რით არის ეს მოლაპარაკებები მნიშვნელოვანი, რატომ გაჭიანურდა აფხაზეთში პარლამენტის არჩევა, რა უნდა დავუპირისპიროთ აფხაზეთში ქართული ტაძრების ე.წ. რესტავრაციას, ამ თემებზე გია გვაზავა „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**გია გვაზავა:**

– იმ მოვლენების ფონზე, როცა რუსეთი თავად წყვეტს თავისი მარიონეტი „ქვეყნის“ ბედ-იღბალს და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს იმის საშუალებასაც არ უტოვებს, რომ დამოუკიდებლად გამოხატონ თავისი და არა კრემლის პოზიცია, ჟენევის მოლაპარაკებები არც შეიძლება დიდად პროგრესული იყოს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი მნიშვნელოვანია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც პირისპირ ხვდებიან ერთმანეთს ქართული და აფხაზური მხარეები და საერთაშორისო თანამეგობრობის თვალწინ გარკვეულ შეხედულებებს აფიქსირებენ. აქ კარგად ჩანს თითოეული მხარის ორიენტირი. რაც შეეხება პოზიტიურ შედეგს, მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ვითარებაა მსოფლიოში, ამიტომ ეს ეტაპები გასავლელი გვაქვს...

*– რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა ქართველი ოპოზიციონერების განცხადებებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ „საქართველო აფხაზეთის მოსაზღვრე რაიონებში არაფორმალურ შეიარაღებულ გაერთიანებებს ქმნის“. ესეც ხომ არ გამოადგება რუსეთს აფხაზეთში რუსული სამხედრო ესკალაციის გაფართოების საბაბად?*

– კომენტარიც კი ზედმეტია იმაზე, რომ თითქოსდა საქართველოში შექმნილი შეიარაღებული ფორმირებები რუსეთის ან აფხაზეთის საწინააღმდეგოდ იყოს მიმართული და საფრთხეს წარმოადგენდეს ვინმესთვის. რა, საქართველოს არ ესმის იმდენი, რომ ამხელა მონსტრს სპეცდანიშნულების რაზმით ვერ შეაშინებ? ან რაში გვჭირდება ჩვენ ეს? ეს არის მხოლოდ საბაბი რუსებისთვის, რომ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულება არ აიღონ, რაც ჟენევის მოლაპარაკებებზე ერთ-ერთი საკითხია. ან თუნდაც აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზე სამხედრო სწავლების გრიფით წლის ბოლოსთვის დაგეგმილი რუსული სამხედრო ესკალაცია გაამართლოს.

*– აფხაზეთში მორიგი ე.წ. საპარლამენტო არჩევნები ორ ტურად ჩატარდა, თუმცა ასარჩევია კიდევ 2 დეპუტატი. თქვენი კომენტარი.*

– მინდა გითხრათ, რომ 90-იანი წლების არჩევნებში აფხაზი დეპუტატები დიდი დისციპლინით გამოირჩეოდნენ და ჩვენგან განსხვავებით პირველივე ტურში გაიმარჯვეს. „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში კი ორი ტურიც არ გახდა საკმარისი, რომ არჩევნები შემდგარიყო. როგორც მე ვიცი, ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩაიშალა ამომრჩევლეთა დაბალი აქტიურობის გამო, ხოლო მეორეგან კანდიდატებს შორის კონფლიქტის გამო. ფაქტიურად გამოდის, რომ მაისში მესამე ტური უნდა შედგეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ აფხაზეთში ან სერიოზული შიდა პოლიტიკური კრიზისია, რაც კლანური დაპირისპირების შედეგია, ან დემოკრატიულ ნაბიჯებს დგამენ... ე.ი. დანიშვნა არ მოხდა.

*– ამას წინათ აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერმა ალექსანდრე ანქვაბმა განაცხადა, რომ იგეგმება მოქვის, ბედიისა და სხვა ტაძრების სარესტავრაციო სამუშაოები. წინააღმდეგი არ არის იუნესკოს დელეგაციის მიიღების, მაგრამ რამდენად ეფექტური და მიზანშეწონილი იქნება იქ იუნესკოს მისიის მუშაობა ქართველი სპეციალისტების გარეშე?*

– რა თქმა უნდა, ქართველი სპეციალისტების გარეშე რესტავრაცია არ შეიძლება შედეგიანი და სრული იყოს. რისი ეშინიათ, რატომ არ უნდათ ქართველი რესტავრატორის და სპეციალისტის იქ შესვლა? თუკი მათ ისევე ადარდებთ ისტორიული და კულტურული მონაპოვარი, როგორც ჩვენ, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, რა რჯულის ადამიანი დაიცავს განადგურებისგან მას? რახან არ უშვებენ ქართველ სპეციალისტს, ეტყობა რომ რაღაც უკუღმართი ჩანაფიქრი აქვთ... და რა უნდა იყოს ეს ჩანაფიქრი, თუ არა რუსული დავალება, ანუ ქართული კვალის წაშლა... ყველაზე უკეთესი იქნება, თუკი საერთაშორისო ზედამხედველობის ქვეშ შესაძლო რესტავრაციაში ქართველი მხარის მიერ საკუთარი სპეციალისტები იქნება ჩართული. თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ უნდა განხორციელდეს ამ ძეგლების საერთაშორისო მონიტორინგი ანუ მათი მდგომარეობა აისახოს ფირზე, შემდეგ ჩვენს მონაცემებთან შეჯერდეს და ტრადიციული იერსახის დაცვით ჩატარდეს სარესტავრაციო სამუშაოები.

*– კრემლმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლები დანიშნა. როგორ მიესადაგება ეს მათი დამოუკიდებლობის სტატუსს?*

– რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა წინააღმდეგობაშია დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსთან, მაგრამ რუსეთი ამის გამო ბოდიშს არ მოუხდის „თავისუფლებისათვის“ მებრძოლ აფხაზებს. გასულ ინტერვიუში გითხარით, რომ ასეთ წარმომადგენლებს ძალიან „მნიშვნელოვან“ მისიას დააკისრებს კრემლი, დაახლოებით ისეთი გეგმის განხორციელებას, როგორიც თავის დროზე ჰქონდა განზრახული ნ. ხრუშჩოვს: აფხაზეთისა და სოჭის გაერთიანებით ე.წ. დიდი სოჭის რეგიონის შექმნა, თავისთავად ცხადია, რუსეთის შემადგენლობაში. ისტორიას გამეორება ახასიათებს. სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა ადრეც მოიფიქრეს რუსებმა თავისი იმპერიული პოლიტიკის განსახორციელებლად, ოღონდაც მაშინ მას მეფისნაცვალი ერქვა და რუსეთის იმპერიასთან კავკასიის სრული შერწყმის საქმეს ემსახურებოდა.

*– ასეთივე წარმომადგენელი დნესტრისპირეთშიც დანიშნა რუსეთმა. ყარაბახი გამორჩა?*

– არა, ასეთი გულმავიწყი რუსეთი არ არის. აქ ბევრად მარტივადაა საქმე. ის უბრალოდ ყარაბახს თავის ტერიტორიად არ თვლის.... დნესტრისპირეთი, მართალია, არ უღიარებია დამოუკიდებლად, მაგრამ მაინც თავისად თვლის. საერთოდ, რუსეთის პოლიტიკის უტიფარი ნაბიჯები არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება, ამიტომ დანამდვილებით ვერ გეტყვით, ყარაბახთან მიმართებაში კიდევ რა აქვთ ჩაფიქრებული...

*– გასული თვის ბოლოს უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ დაგეგმილი აფხაზეთის აღმასრულებელ სტრუქტურებში...*

– უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობამ განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატში გასვლითი შეხვედრა გამართა. შევხვდით თანამშრომლებს, გავეცანით ახალგაზრდა კადრებს, მათ საქმიანობას, ვისაუბრეთ ერთობლივ სამომავლო გეგმებზე. ასეთივე შეხვედრები იგეგმება წლის განმავლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სხვა სტრუქტურებშიც.

*– ჩაქვში რა სახის შეხვედრა გქონდათ?*

– საქართველოს პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარის ქ-ნი გოგორიშვილის ინიციატივით მოეწყო მეტად საინტერესო და კონსტრუქციული შეხვედრა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების ხელმძღვანელებთან, სადაც გავეცანით ახალ კანონპროექტს ერთობლივი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ. საქართველოს პარლამენტსა და ორ რეგიონულ პარლამენტს შორის კავშირი თითქმის მოშლილი იყო. წესით, რეგიონული პარლამენტების თავმჯდომარეები უნდა ყოფილიყვნენ დიდი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები, მაგრამ რახან ერთი რეგიონი ოკუპირებულია, ხოლო მეორეს თავის დროზე უთანხმოება ჰქონდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ამიტომ თანამშრომლობის კავშირი არ არსებობდა. ახლა პრაქტიკულად ახალი ეტაპი დაიწყება. საკოორდინაციო საბჭოში შევა სამ-სამი წევრი საქართველოსა და რეგიონული პარლამენტებიდან, მას ექნება თავისი დებულება, საკანონმდებლო ბაზა. ამით ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოები მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის ახალი კანონების განხილვასა და დამტკიცებაში არა მარტო აფხაზეთისა და აჭარის, არამედ სრულიად საქართველოს პრობლემებთან მიმართებაშიც. მე ვთვლი, რომ საკანონმდებლო დონეზე ურთიერთობების აღდგენა საპარლამენტო ისტორიაში არის ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპია.

*– წმ. ამბროსი ალმსარებლის ხსენების დღეს მარტვილში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები გაემგზავრნენ.*

– დიახ, ჩვენ გახლდით მიწვეული იმ ღონისძიებაზე, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ჭყონდიდის ეპარქიის ორგანიზებით, ჭყონდიდის მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით გაიმართა და კათოლიკოს-პატრიარქის, წმინდა ამბროსი აღმსარებლის (ხელაიას) იუბილეს მიეძღვნა. ეს იყო გამოფენა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სახელწოდებით – „სული ღმერთს, გული სამშობლოს“, სადაც ძირითადად წარმოდგენილი იყო პატრიარქის ქადაგებები, პირადი წერილები, ფოტოები, გადასახლებისა და დევნის ამსახველი მასალა. მოგეხსენებათ, ამბროსი ხელაია ჯერ სოხუმში, შემდეგ ახალ ათონსა და ლიხნში მსახურობდა და ილაშქრებდა იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც აფხაზებს ქართველთა სიძულვილს უნერგავდა. ის იყო უდიდესი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი მოწამებრივი ცხოვრება საქართველოს მიუძღვნა, ღირსეული შვილი თავისი ქვეყნის და ამიტომაც გვმართებს მისი განსაკუთრებულად დაფასება. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენმა დეპუტატმა, პროფესორმა ჯემალ გამახარიამ ამბროსი ხელაიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას კაპიტალური ნაშრომი მიუძღვნა.

# უქმნის თუ არა ივანიშვილი საფრთხეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს?

თამარ ნინიძე

მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თინა ბურჯალიანმა პარლამენტარ ნაციონალებს განუცხადა, რომ ხარვეზების შესავსებად კიდევ ოთხიოდე დღეა საჭირო და მერე მიიღებენ გადაწყვეტილებას, მიანიჭონ თუ არა მოქალაქეობა ივანიშვილს, საზოგადოება კიდევ უფრო დიდ საგონებელში ჩავარდა, ვაიდა, არ მიანიჭონ ბატონ ბიძინას მოქალაქეობა, რა მოხდება შემდეგ?

„პრაიმტაიმის“ პრესკლუბში ვახტანგ ხმალაძე შეეცადა ამაზე პასუხის გაცემას. ის, რომ ხელისუფლებამ მოსაფიქრებლად კიდევ ოთხი დღე აილო, არსებითი ამაში არაფერია, სხვა საქმეა, შედეგი რა იქნება. კონსტიტუციით პრეზიდენტს დისკრეციული უფლება აქვს, მოქალაქეობა მიანიჭოს პირს თუ ის უცხო ქვეყნის მოქალაქეა და მეორეც თუ მოქალაქეობის არმქონე პირს უნდა ეს, უარის შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება აქვს, ახსნა-განმარტება არ გააკეთოს, თუ პირს აქვს დამსახურება საქართველოს წინაშე ან სახელმწიფოს ინტერესებში შედის მოქალაქეობის მიღება, დისკრეცია არ მოქმედებს.

თუ ადამიანი ენის, ისტორიის, სამართლის სფეროებში კარგად არის გარკვეული, აქვს უძრავი ქონება იმ ქვეყანაში და წარმოება, მას უპირატესობა აქვს, ივანიშვილი ყველა ამ პირობას აკმაყოფილებს. სააკაშვილს შეუძლია უარი უთხრას ივანიშვილს მოქალაქეობის მინიჭებაზე თუ ივანიშვილი სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს საფრთხეს უქმნის, მაგრამ ხმალაძის განმარტებით ამის ზუსტად გაზომვა შეუძლებელია. თუ უარს ეტყვის, უნდა დაამტკიცოს კიდეც არგუმენტირებულად, რატომ არ აძლევს მოქალაქეობას.


ვახტანგ ხმალაძე

სააკაშვილმა სასამართლოში უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება უარის გამო.

სახელისუფლებო მედიაში გავრცელდა მოსაზრება, რომ ივანიშვილი ზეწოლას ახდენს დიპკორპუსზე, რომ აიძულოს სააკაშვილი მოქალაქეობის მინიჭებაზე, თუმცა ხმალაძის ინფორმაციით, დიპკორპუსი მხოლოდ სკანდალის შემდეგ ახდენს რეაგირებას, მანამდე კი თავის პოზიციას არ აფიქსირებს. სავარაუდოდ, დიპლომატები განცხადებებს გააკეთებენ, მაგრამ მაშინ, როცა ხელისუფლების უარს მოისმენენ.

პრესკონფერენციაზე საუბარი შეეხო პარლამენტარების ასაკობრივ ცენზს, ვახტანგ ხმალაძის ინფორმაციით მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში 21–წლიანი ცენზი პრაქტიკაში არ არის მიღებული. საპრეზიდენტო ასაკი უმრავლეს ქვეყანაში 35 წელს ზემოთ არის, იტალიაში 50 წლის ადამიანს აქვს მხოლოდ უფლება, დაიკავოს პრეზიდენტის თანამდებობა. ადამიანმა დეპუტატობას რომ მიაღწიოს, ელემენტარული ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება უნდა ჰქონდეს. ხმალაძეს ძნელია არ დაეთანხმო იმაში, რომ 21 წლის ახალგაზრდა დეპუტატი არ უნდა გახდეს, ის ახლა იწყებს ცხოვრებას, ფაქტობრივად უმაღლესიც არა აქვს დამთავრებული და თუ აქვს დამთავრებული, მხოლოდ ბაკალავრია, 25 წლის ადამიანს ან მაგისტრის წოდება აქვს ან სამსახური მაინც. სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების დროს 21 წლის ასაკის ადამიანმა ასეთი პასუხისმგებლობა თავის თავზე არ უნდა აილოს. პარლამენტში განიხილება სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხები, საკრებულოში კიდევ შეიძლება 21 წლის ადამიანი მუშაობდეს, როცა ლოკალურ ადგილობრივ პრობლემებზე მუშაობს, მაგრამ პარლამენტში ეს დაუშვებელია.

ივანიშვილს რომ აქციები აქვს გაზპრომში, ეს პრობლემა ხმალაძისთვის არ არის, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის რუსულ ფულს იღებს, სახელმიფო თუ იურიდიულ ორგანიზაციას ქმნის და ფულს უხდის მას, რათა შემდეგ მისი ინტერესები დაიცვას, ეს უკანონოა, რაც საქართველოს კონსტიტუციაშიც მითითებულია, კერძოდ, პარტიებს და პოლიტიკოსებს უცხო ქვეყნიდან ფულის მიღების უფლება არა აქვთ, მაგრამ აქციები და ბიზნესი სხვა რამეა. არ არის აუცილებელი, გაზპრომის აქციონერი ავტომატურად კრემლის ინტერესებს იცავდეს, აქციონერს ამას ვერავინ აიძულებს.

სოციოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებით ხმალაძეს მიაჩნია, რომ მაღალია საზოგადოების უნდობლობა ამა თუ იმ კვლევასთან დაკავშირებით, მისი აზრით სოციოლოგიურმა სამსახურებმა ურთიერთმონიტორინგი რომ განახორციელონ, ეს ნდობას აამაღლებს, თუმცა სამწუხაროდ, უცხოური სოციოლოგიური კვლევითი სამსახურები უმეტეს შემთხვევაში ამ სისტემას თავს არიდებენ.

# რასმუსენმა საქართველოს ხელისუფლება მოიმადლიერა

ნათია ხურცილავა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ნატოს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის შეხვედრას საქართველოს ხელისუფლებაშიც მოჰყვა შეფასებები.


თორნიკე გორდაძე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მოადგილის თორნიკე გორდაძის განცხადებით, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა,


ანდერს ფოგ რასმუსენი

რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანების ყველაზე რეალური კანდიდატია.

ამის შესახებ გორდაძემ განცხადება ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის გამოსვლის შეფასებისას გააკეთა.

– გენერალურმა მდივანმა დაადასტურა, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას ალტერნატივა არ აქვს და ეს შეუქცევადი პროცესია. საქართველო ნატო-ს სამაგალითო პარტნიორია და არა მხოლოდ პარტნიორი, არამედ ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატია ნატო-ში გაწევრიანების. გენერალურმა მდივანმა აგრეთვე აღნიშნა ის, რომ ბოლო დროს საქართველოში მიღებული კანონმდებლობა არჩევნებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, ნატოს გენერალურმა მდივანმა, ანდრეს ფოგ რასმუსენმა ასევე აღნიშნა, რომ ამ კუთხით გადადგმული ყველა ნაბიჯი აუცილებლად ჩიკაგოს სამიტზე მკაფიოდ და არაორაზროვნად უნდა იყოს ასახული. – განაცხადა გორდაძემ.

აღნიშნული განცხადება საქართველოს დიპლომატიური უწყების მაღალჩინოსანმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

ანდრეს ფოგ რასმუსენმა თავისი, შეიძლება ითქვას დემოკრატიული სამყაროს გზავნილი ღიად გააგზავნა.

ეს გზავნილი არც მეტი, არც ნაკლები საპარლამენტო არჩევნებია.

შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები ის საკითხია, რომელსაც ნატოს გენერალური მდივანი დემოკრატიის ტესტად მოიხსენიებს.

ანდერს ფოგ რასმუსენმა საქართველოში ვიზიტისას მოახლოებულ არჩევნებს ლაკმუსის ქაღალდი უწოდა.

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, ანდერს ფოგ რასმუსენის შეფასებით, საქართველოს, როგორც ნატოს წევრობის გზაზე მდგარ სახელმწიფოს, ერთ-ერთი მთავარი ტესტი შემოდგომაზე აქვს ჩასაბარებელი:

– ეს არჩევნები იქნება მნიშვნელოვანი ტესტი საქართველოს დემოკრატიისათვის და იქნება კარგი მაჩვენებელი იმისა, თუ რა შედეგებს მიაღწიეთ ამ მიმართულებით. მე ვიცი, რომ ალიანსი ამ არჩევნებს ყურადღებით დააკვირდება. – აღნიშნავს ნატოს გენერალური მდივანი.

შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც საუბრის გაამახვილა ყურადღება. საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი მეთვალყურეების ჩამოსვლა მოითხოვა სააკაშვილმა, რომ შემდეგ ადეკვატური დასკვნები დაიდოს საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

– ჩვენ მოვუწოდებთ ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, გამოგზავნონ საქართველოში არჩევნების არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ გრძელვადიანი მეთვალყურეები, ჩაატარონ საზოგადოებრივი გამოკითხვები, მონიტორინგი გაუწიონ ქართულ მედიასივრცეს, შეისწავლონ პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების მექანიზმი, რათა გამოჩნდეს, რომ საქართველოში არა მხოლოდ არჩევნების დღე, არამედ მთლიანი პროცესი გამჭვირვალეა. – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

# რატომ დაუწუნა ჯონ ბასმა ქართველ ჟურნალისტებს ცნობისმოყვარეობა

ნათია ხურცილავა


ჯონ ბასი

ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი ისევ მოწოდების სიმაღლეზეა. დიპლომატიური ეტიკეტის მიუხედავად ქართველ ჟურნალისტებს პროფესიონალიზმს უწუნებს. მას აოცებს, რომ ჟურნალისტებს ცნობისმოყვარეობა არ აქვთ და კითხვების დასმის დეფიციტია.

ჯონ ბასი პირდაპირ გვეუბნება, რომ ამ სფეროში საქმე კარგად ვერ არის.

რას აკეთებს ამისთვის ხელისუფლება?

ეს კითხვა დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება. წინასაარჩევნო პერიოდში მედია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. როგორც ჩანს, საარჩევნო პერიოდის განმავლობაში მედიის მონიტორინგი ერთ-ერთი მთავარი საკითხი იქნება.

– ჟურნალისტებში ცნობისმოყვარეობისა და კითხვების დასმის დეფიციტია. ასევე მინდა, აღვნიშნო, რომ იმედი მაქვს, საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება, რაც ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება. – აღნიშნა ელჩმა.

რატომ არის ჟურნალისტებში ცნობისმოყვარეობის დეფიციტი? რატომ არ სვამენ კითხვებს ჟურნალისტები?

იქნებ არ არის ცნობისმოყვარეობის დეფიციტი, იქნებ აინტერესებთ ჟურნალისტებს ძალიან ბევრი საკითხი? საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმა ბათუმში, მედიის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე საქართველოში არსებულ საარჩევნო გარემოზეც ისაუბრა.

ჯონ ბასმა საქართველოსადმი ამერიკის მიმართ დამოკიდებულებაზე ისაუბრა. ბოლო დროს ამერიკის მიმართ დამოკიდებულება საზოგადოების ნაწილში რაღაცნაირად კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა. რა არის ამის მიზეზი რთული სათქმელი არ არის, თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა განაცხადა, რომ ამერიკა საქართველოს და მის მოსახლეობას უჭერს მხარს და არა კონკრეტულ ლიდერს, თუ პოლიტიკურ პარტიას.

– არის მითქმა-მოთქმა, თითქოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიცვალა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავს სასურველი კანდიდატი. აღვნიშნავ, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს და მისი მოსახლეობის სწრაფვას დემოკრატიისკენ და მხარს უჭერს მათ ამ პროცესში. ჩვენ არ გვყავს სასურველი პარტია, სასურველი კანდიდატი ან არ გვაქვს სასურველი შედეგი, რომელსაც ველოდებით საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს და თავად საქართველოს მოქალაქეების არჩევანზეა დამოკიდებული სასურველი კანდიდატების არჩევა. – აღნიშნა ჯონ ბასმა.

ჯონ ბასის განცხადებით, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიიღონ მაქსიმალური დონე ლეგიტიმურად არჩეული ორგანოს მიმართ.

ამერიკის ელჩი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანი იქნება კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემო და ისეთი პარლამენტის არჩევა, რომელიც საზოგადოების ინტერესებს გამოხატავს.

– ჩვენი ყურადღება წელს, ასევე მომავალ წელს იქნება მიმართული იმისკენ, რომ მხარი დაგიჭიროთ და თქვენ შექმნათ მაქსიმალურად კონკურენტული საარჩევნო გარემო, არჩევნები ჩატარდეს მაქსიმალურად თავისუფლად და სამართლიანად. ამის შედეგად იყოს არჩეული ისეთი პარლამენტი, რომელიც ასახავს საზოგადოებაში არსებულ მრავალფეროვან აზრს და შეხედულებას. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებაში განმტკიცდეს რწმენა დემოკრატიული პროცესებისა და დემოკრატიული ინსტიტუციების ლეგიტიმურობის მიმართ, რომლებიც არჩევნების შედეგად უნდა შეიქმნას. – აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში.

## პირობით ვადამდე შვიდი მსჯავრდებული გათავისუფლდება

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოების ანგარიშების განსახილველად შეიკრიბა.

კომისიის გადაწყვეტილებით, პირობით ვადამდე გათავისუფლდება 7 მსჯავრდებული, რომელთა განცხადებები, საბჭოების ზეპირი მოსმენის შემდეგ არ დაკმაყოფილდა, – აცნობეს „მედიანიუსს“ სამინისტროდან.

სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია პერიოდულად, არანაკლებ სამ თვეში ერთხელ იკრიბება, მსჯავრდებულთა განცხადებებს კი პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოები ყოველი თვის ბოლოს განიხილავენ.

მედიანიუსი

## ედპ ბრძოლას განახლებული ძალით იწყებს

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის გადამწყვეტი ბრძოლის პირობას დებს. ნონა ახალბედაშვილის განცხადებით, დღეიდან პარტია თავისი განახლებული ძალებით იწყებს ბრძოლას საპარლამენტო არჩევნებისთვის.

მისივე თქმით, უკვე ჩამოყალიბებულია თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიონული კომიტეტი, რომელშიც უამრავი ახალი ადამიანი გაერთიანდა.

„ჩვენ ჩავატარეთ ერთი ეტაპი, რომელიც მოიცავდა პარტიის სააგიტაციო მასალის დარიგებას თბილისის მოსახლეობაში. თუმცა წინ დიდი ბრძოლა გველის , საკმაოდ დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი და მინდა ვუთხრა ედპ-ს ხელმძღვანელობას, რომ თბილისის ორგანიზაცია იქნება ის მთავარი დასაყრდენი პარტიისათვის რომელმაც აუცილებლად უნდა თქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში“, – განაცხადა ახალბედაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

## „საქართველოს გზის“ ლიდერი ცესკო-ს თავმჯდომარეს შეხვდა

პარტია „სალომე ზურაბიშვილი-საქართველოს გზის“ თავმჯდომარე კახა სეთურიძე, გუშინ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ხარატიშვილის შეხვდა.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაძე სეთურიძემ ცესკო-ს თავმჯდომარეს პარტიის მიერ ყაზბეგის რაიონში ჩატარებული „კარდაკარის“ შედეგები გააცნო. ასევე ესაუბრა პარტიის პოზიციაზე წინასაარჩევნო რეგისტრაციასთან დაკავშირებით. განიხილეს ცენტრალური კომისიის წინაშე მდგარი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. „საქართველოს გზამ“ „კარდაკარის“ პრინციპით ყაზბეგის რაიონში ამომრჩეველთა აღწერა ჩაატარა და აღმოაჩინა, რომ 4100 ამომრჩევლიდან 2000 ქვეყნის საზღვარს გარეთ არის გასული. პარტია გამოვიდა ინიციატივით, რომელიც წინასაარჩევნო რეგისტრაციის ბიომეტრიული კომპონენტებით ჩატარებას გულისხმობს.

ინტერპრესნიუსი

## გამოკითხულთა 84,3% მიიჩნევს, რომ ქიაბერაშვილის მინისტრობა ჯანდაცვის სისტემაში ვითარებას არ შეცვლის

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის" ინტერნეტგამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა 84,3% მიიჩნევს, რომ ზურაბ ქიაბერაშვილის მინისტრად დანიშვნის შემდეგ ჯანდაცვის სისტემაში ვითარება არ შეიცვლება.

კითხვაზე – შეიცვლება თუ არა ჯანდაცვის სისტემაში რეალურად ვითარება ზურაბ ქიაბერაშვილის მინისტრად დანიშვნის შემდეგ, გამოკითხულთა 7,8%-ს პასუხის გაცემა უჭირს. ასევე, 7,8% მიიჩნევს, რომ ახალი მინისტრის მოსვლა სისტემის მუშაობაზე დადებით გავლენას მოახდენს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პოსტზე ზურაბ ქიაბერაშვილმა ანდრია ურუშაძე შეცვალა.

გამოკითხვა 27 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით ჩატარდა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის" შემდეგი გამოკითხვის თემა იქნება – მიგაჩნიათ თუ არა საქართველოსთვის სახიფათოდ რუსეთის მიერ შემოდგომაზე დაგეგმილი ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა „კავკასია 2012"?

ნიუსპრესი

## ბათუმში გაზის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო 6 ადამიანი დაშავდა

ბათუმში საკუთარ სახლში გაზის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო 6 ადამიანი დაშავდა. წინასწარი ინფორმაციით, შემთხვევა ლერმონტოვის ქუჩაზე მოხდა, ამ დროს სახლში ოჯახის 6 წევრი იმყოფებოდა, მათ შორის 6 თვის ბავშვი. დაშავებულები სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად მძიმეა.

ნიუსპრესი

## სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის აზერბაიჯანის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ნაჯაფოვ იბრაჰიმი დააკავეს.

იგი სარფის №1 სასაზღვრო სექტორის დასაცავი მონაკვეთის უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდა. დაკავებული საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს II სამმართველოს ბათუმის საგამოძიებო-ოპერატიულ განყოფილებას გადაეცა.

ნიუსპრესი

# რუსეთი ირანის წინააღმდეგ შემოღებულ ცალმხრივ სანქციებს უპირისპირდება

შორენა გონგლაძე



**ირანის გარშემო ატეხილი სკანდალი ჯერჯერობით ფინალში ვერ გავიდა. ირანის გარშემო მსოფლიო საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ნაწილი ირანზე სანქციების დაწესებას უჭერს მხარს, ნაწილი კი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგია. რუსეთის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით თავიდანვე იყო ცნობილი.**

ირანი პოზიციას არ ცვლის და აცხადებს, რომ თეირანი ურანის გამდიდრების პროცესს არასოდეს არ შეაჩერებს, ვინაიდან ირანის ბირთვულ პროგრამაში არანაირი გადახვევა არ არსებობს და ირანი ენ-პი-ტი-ს პროტოკოლის შესაბამისად და სრული დაცვით მოქმედებს.

რამდენიმე დღის წინ სომხეთის დედაქალაქ ერევნის სამთავრობო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეკრებაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა შეცდომა უწოდა ირანის მიმართ დაკავებულ ამერიკის და ევროკავშირის პოზიციას და აღნიშნა: საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ასეთი მიდგომა ყოვლად მიუღებელია. აღნიშნულ ინფორმაციას ირანის ქართული რადიო ავრცელებს. გამოსვლისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეეხო 5+1 ფორმატის (უშიშროების საბჭოს 5 წევრის და გერმანიის) მიერ ირანის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას და დასძინა: ირანის და ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს თანამშრომლობის ჩარჩოებში სამშვიდობო ხასიათის ბირთვული პროგრამების შინაარსის თაობაზე ნდობის წარმოშობის მიზნით, ირანი, როგორც სააგენტოს ერთერთი ბირთვული წევრი, ყველა უფლების მქონე უნდა იყოს. როგორც ჩანს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კრიტიკა ირანის წინააღმდეგ ამერიკის ცალმხრივი ნაბიჯების და სანქციების იმ მხარეს ეხება, რაც ყველა სახელმწიფოს თავს ეხვევა. ეს კი ხდება ისეთ ვითარებაში, როდესაც ირანის წინააღმდეგ ამერიკის მტრული დამოკიდებულება არის ბირთვული ენერგიის თემის მიმართ ორგვაროვნული დამოკიდებულების დასახვა და ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს საშუალებით რამდენიმე გამოკვეთილი მოძალადე ქვეყნის პოლიტიკის გატარების გზით ენ-პე-თი-ს წესების აშკარა დარღვევა.

რაც შეეხება სანქციებს, გასულ კვირას ამერიკის პრეზიდენტმა გამოსცა მიმართვა იმ ბანკებისა და ფინანსურ დაწესებულებათა წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც ირანული ნავთობის გაყიდვას აქვს ადგილი. ირანის ნავთობის შემსყიდველი სახელმწიფოების წინააღმდეგ ამერიკის ახალი სანქციების მიმართ წინააღმდეგობრივი პოზიციის დაკავებისას, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც განაცხადა: ვაშინგტონს არ აქვს იმისი უფლება, რომ საკუთარი შიდა კანონმდებლობის საფუძველზე ამა თუ იმ ქვეყნის წინაღმდეგ მიმართოს სანქციების შემოღება. 2012 წლის დაწყებიდან კი ამერიკამ და ევროკავშირმა ირანის ნავთობის და ფინანსური სექტორის წინააღმდეგ ახალი სანქციები აამოქმედეს და განაცხადეს, რომ თეირანის ბირთვული ენერგეტიკის პროგრამებს სამხედრო ხასიათი გააჩნია. ეს კი იმ დროს, როცა ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს განუყრელი ექსპერტიზით, არანაირი საბუთი არ იქნა მიკვლეული ირანის ბირთვული ენერგიის პროგრამებში სამხედრო მიზნებისაკენ გადახრის შესახებ. საუბარია იმაზე, რომ თუკი სადიალოგო მხარეები ნდობის გარემოს შექმნას ესწრაფვიან, უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა დაასრულონ საკუთარი ორგვაროვნული ბირთვული სტანდარტები. რადგან ირანი, როგორც ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ერთ-ერთი ერთგული წევრი და ბირთვული იარაღის გავრცელების ამკრძალავი კონვენციის ხელმომწერი, ფლობს სამშვიდობო ხასიათის ბირთვული ტექნოლოგიების მოპოვების და განვითარების უფლებას. მაგრამ ისეთ ვითარებაში, როდესაც ირანი და 5+1 დიალოგების განახლებისათვის ერთმანეთს უახლოვდება, ამერიკის სახელმწიფო საქმეთა მინისტრმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს მოლაპარაკებისაგან გამოკვეთილი შედეგის მიღება. ყოველ შემთხვევაში, ირანის და 5+1 ფორმატის დიალოგთა ახალი რაუნდი უახლოესი მომავლისათვის უნდა გაიმართოს, ეს კი ისეთ ვითარებაში, როცა შეუძლებელია მოლაპარაკების წინსვლის გზაზე დასავლეთის ქცევების მხედველობიდან გამორჩენა. ირანმა და 5+1 ფორმატმა 2010 წლის დეკემბერს და ამასთანავე 2011 წლის იანვარს ჟენევასა და სტამბულში დიალოგების ორი რაუნდი გამართეს, რომ დასავლეთის საბოტაჟური მოქმედებებით და ულოგიკო პოზიციასა და მოთხოვნებზე დაყინებული დაყრდნობით, დიალოგები ჩიხში შევიდა.

დასავლეთის მიერ დაკავებული პოზიცია ირანის სამშვიდობო ხასიათის ბირთვული საქმიანობის საფრთხედ დასახვის გზით, ირანის წინააღმდეგ ბრალდებათა წამოყენებისას, ნათლად იძლევა იმ მიმართვას, რომ ამერიკის მიზანი დიალოგების გზით ირანზე ზეწოლების მოხდენაა. ფაქტიურად კი ამერიკის ოფიციალური პირები ცდილობენ, რათა ირანოფობიური პოლიტიკის გამოყენებით, უშიშროების საბჭოს საშუალებით საერთაშორისო თანამეგობრობა ირანთან დაპირისპირებულ გახადონ. რა თქმა უნდა, ასეთი პოლიტიკის გატარება მათთვის რაიმე შედეგის მომტანი არ იქნება, რადგან არანაირი საბუთი არ არსებობს სახეზე ირანის წინააღმდეგ დასავლეთის გაუგებარი ბრალდებების დასამტკიცებლად. რადგან ამერიკა რუსეთსა და ჩინეთთან, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებთან, საკუთარ ურთიერთობებში უამრავ პრობლემას წააწყდა. ასეთმა უთანხმოებებმა კი უფრო აშკარა სახე შეიძინა დასავლეთში ეკონომიკური კრიზისის გამწვავებით, ენერგეტიკული მასალების ფასის მომატებით და ირანის ნავთობის სანქციების გამო ევროპის და აზიის სახელმწიფოებზე მისი ნეგატიური ზეგავლენის არსებობით. მით უმეტეს, პეკინი და მოსკოვი თავად არიან ენ-პეთის კონვენციის ხელმომწერი და საკუთარ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ ამერიკის მსგავსად მოქმედება და ირანის უფლებათა იგნორირება.

# ხალხს დაზიანებული მატარებლებით უწევს მგზავრობა

ქეთი ხომერიკი

**რას ითხოვენ ეზუგბაის უწყებისგან ზუგდიდის მცხოვრებლები, რატომ აიძულებს რკინიგზის შეფი დაზიანებული მატარებლებით მოძრაობას რკინიგზის თანამშრომლებს, რატომ ყიდულობენ სომხები გორელი გლეხებისგან ვაშლს და რა კონკრეტული შედეგით ბრუნდება მოსკოვიდან სამშობლოში კუკავა? „ახალ თაობას" „თავისუფალი საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი გია ყრუაშვილი ესაუბრა.**




**გია ყრუაშვილი:**

– რამდენიმე კვირის წინ, ზუგდიდის მოსახლეობამ თხოვნით მიმართა შპს „საქართველოს რკინიგზას", კონკრეტულად, რკინიგზის მგზავრთა გადაყვანის დირექტორ თემურ ბულიას, რათა მოხდეს თბილისი -ზუგდიდის მატარებელზე ვაგონების დამატება, თუმცა რკინიგზის ხელმძღვანელობა და ბატონი ბულია მათ იგნორირებას ახდენს. ზუგდიდის მოსახლეობა კი შეწუხებულია და ამ პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებას ითხოვს. სხვათა შორის, 80-90-იან წლებში საქართველოს რკინიგზას 80-მდე სამგზავრო მატარებელი ემსახურებოდა, რომელთა სამგზავრო ვაგონების რაოდენობა თითო მატარებელზე მინიმუმ 18 ვაგონს აღემატებოდა. ამ რაოდენობის შემადგენლობას კი სულ რაღაც 3 კვალიფიციური მგზავრთა გადაყვანის დირექტორი, მოადგილე და მთავარი ინჟინერი ჰყავდა. დღეს კი, სულ 3 სამგზავრო მატარებელი დადის და თითო მატარებელს 6 ვაგონი ემსახურება, ანუ ეს შემადგენლობა 90–იან წლებში მარტო ერთ მატარებელს ჰქონდა, 18 ვაგონი. ვიმეორებ, მოსახლეობა საკმაოდ შეწუხებულია. თავისთავად ცხადია, თბილისი–ზუგდიდის მიმართულებით მგზავრების გადაყვანას 6 ვაგონი ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს. ამიტომ მგზავრი იძულებულია იმგზავროს ან ავტობუსით, ან სამარშრუტო მიკროავტობუსით, რაც მოგეხსენებათ, დამატებით ხარჯებთან და წვალებასთანაა დაკავშირებული.

***– და რატომ არ იღებს ყურად ზუგდიდის მცხოვრებთა თხოვნას ეზუგბაიას უწყება?***

– ვაგონებისა და მატარებლების რაოდენობის შემცირებას რკინიგზის ხელმძღვანელობა შემდეგნაირად ხსნის – თურმე მათ ძველი ვაგონები კომფორტული ვაგონებით ჩაანაცვლეს, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ ხელისუფლებასთან ერთად რკინიგზის ხელმძღვანელობაც იტყუება. არანაირი კომფორტი რკინიგზაზე არ არსებობს. იქ გამეფებულია კორუფცია და ყველა პირად გამდიდრებაზეა გადასული, ამიტომაც რკინიგზაზე მოსახმარებელი თანხები აღარ რჩებათ და რეალურად, სწორედაც რომ ფინანსების არ ქონის გამო ვერ ხერხდება ვაგონებისა და ლოკომოტივების შეკეთება. არადა, ფაქტობრივად, ყველა ვაგონი და მოძრავი შემადგენლობა ავარიულია და მათი ექსპლუატაცია დაუშვებელი. თითქმის ყოველდღე ადგილი აქვს მოძრავი შემადგენლობების მწყობრიდან გამოსვლას. გახსოვთ, ალბათ, არც ისე დიდი ხნის წინ, წიფაში ლიანდაგიდან რომ ჩავარდა სამგზავრო მატარებელი – ოზურგეთი- თბილისი და რამდენი ერთი. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, ნებისმიერ დროს არის მოსალოდნელი საქართველოს რკინიგზაზე ავარიები, რაზეც რეალურად პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს არა მემანქანესა და დაბალი რანგის მუშაკს, რომელსაც იძულების წესით ამუშავებენ, არამედ რკინიგზის მაღალჩინოსნებს.

***– რას ნიშნავს, იძულების წესით ამუშავებენ?***

– რას ნიშნავს და ვინც არ იმუშავებს, ავარიულ ლოკომოტივს არ გაიყვანს დეპოდან, სამსახურიდან დაითხოვენ. დიახ, მათ სამსახურიდან დათხოვნით ემუქრებიან. არადა, მსვლელობის დროს რამე რომ მოხდეს, პირდაპირ მემანქანე და დაბალი რანგის მუშაკები არიან პასუხისმგებლები და არა ის უსაქმური, არაფრისმაქნისი მაღალჩინოსნები, რომლებიც მხოლოდ ფულის კეთებაზე არიან გადასულნი. 90-იან წლებში საქართველოს რკინიგზას სულ 300 თანამშრომელი ემსახურებოდა, ყველას სპეციალური კვალიფიკაცია ჰქონდა გავლილი და პროფესიონალები იყვნენ. დიახ, ყველა მათგანს რკინიგზის ტექნიკუმები და ინსტიტუტები ჰქონდა დამთავრებული, დღეს კი, რკინიგზა ინკასატორების, კუდისა და „გამჭვირვალე პოლიციის" ყოფილი თანამშრომლებითაა გავსებული. მარტო დეპარტამენტში 300-დან 2000-მდე არიან. რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა ის ფაქტიც, მაშინ, როდესაც რკინიგზაში, ფაქტობრივად, სამეთვალყურეო საბჭო პრეზიდენტის განკარგულებით 2 წლის წინ გაუქმდა, 15 ყოფილი ნაციონალი დეპუტატი (რომელიც პარლამენტში ვერ მოხვდა) რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოში არის დღემდე გაფორმებული!

***– ეს როგორ, კი, მაგრამ?***

– მეც ამას ვკითხულობ და იცით, 3000 -მდე აქვთ ხელფასი ამ ადამიანებს და ეს მაშინ, როდესაც უამრავი პროფესიონალი რკინიგზელი სამსახურის გარეშეა დარჩენილი და თითქმის 4000-მდე პროფესიონალი რკინიგზელი კი, სამსახურიდანაა დათხოვილი სრულიად უკანონოდ. ამ თანამშრომლების სამსახურიდან გაშვებას რითი ხსნიან იცით? იმით, რომ თურმე ეს რკინიგზელები კორუმპირებულები იყვნენ. აი, ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ დღეს სააკაშვილი და მისი ეს ხროვა გალმით შეედავეს პრინციპით მოქმედებს, ანუ ყველას და ყველაფერს, რასაც თვითონ სჩადის, სხვას აბრალებს.

***– ისე, თქვენ კარგა ხანია საქართველოს რკინიგზაში არსებულ კორუფციასა და დარღვევებზე საუბრობთ, თუმცა, უშედეგოდ...***

– 2007-08 წლებში რკინიგზიდან ირაკლი ეზუგბაიას მიერ დატაცებული 200 მილიონი, რომელიც ფინანსური პოლიციის დასკვნაში დევს და პროკურატურასაც უდევს სარჩელის სახით, ჩემ მიერ მიწოდებული, დღემდე იგნორირებულია და ელოდება აღსრულებაში მოყვანას, რაც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, როგორც ჩანს, არ მოხერხდება. თუმცა ამათი დღეები დათვლილია და მე ვდებ პირობას, რომ ათასობით უსამსახუროდ დატოვებული პატიოსანი რკინიგზელი აუცილებლად აინაზღაურებს იმას, რაც დააკარგვინა რკინიგზის უნამუსო ხელმძღვანელობამ და იმ დატაცებული მილიონებისა და ჩადენილი დანაშაულებების გამო ეზუგბაია და ძმანი მისნი, აუცილებლად აგებენ პასუხს. თქვენ იცით, რომ მე უკვე 5 წელია ვიბრძვი და ვპირდები ეზუგბაის, ბულიას, ირმა სტეფნაძეს და ყველას, ვინც პატიოსანი რკინიგზელების ხარჯზე გამდიდრდა, აუცილებლად ვაგებინებ პასუხს. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო „ახალ თაობას", რომელიც ჩემთან ერთად გამუდმებით აშუქებს ყველა იმ უბედურებას, რაც ხდება შპს „საქართველოს რკინიგზაში".

***– რა მაგის პასუხია, მაგრამ რა კონკრეტული შედეგით ბრუნდება კუკავა მოსკოვიდან? სხვათა შორის, დღეს, გენადი ონიშენკომ განაცხადა, რომ რუსეთის ბაზარზე ბორჯომის დასაბრუნებლად ბარიერები არ არსებობს. ონიშენკოსვე თქმით, მისი სამსახურის სპეციალისტები მზად არიან, ინსპექტირებისთვის საქართველოში გასამგზავრებლად...***

– მოდით, ამაზე კუკავა თავად მოგახსენებთ. ბატონი კახა, ამ დღეებში ჩამობრძანდება მოსკოვიდან, თავად გააკეთებს განცხადებას და ამცნობს მოსახლეობას ვიზიტის შედეგებს. ფაქტია, მნიშვნელოვან საქმეს ეყრება საფუძველი, რადგან საზოგადოებისთვის რუსული ბაზარი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, რაც ამ ხელისუფლების უგუნურებით დაკარგა. დიახ, ამ მოღალატე ქართველების წყალობით დავკარგეთ რუსეთის ბაზარი, სადაც უამრავ ქართველს ჩაჰქონდა ვაშლი, ციტრუსი, ჩაი, ღვინო, რითაც ოჯახებს ინახავდნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ახლა კი ეს რუსული ბაზარი სომხებმა ჩაიბარეს. წინა კვირაში გახლდით გორის რაიონში, სოფ. ნიქოზში, კარალეთსა და ტყვიავში და ერთი რამ შევიტყვე. დღეს გორის ამ სოფლებში ჩადიან სომხები, ყიდულობენ ვაშლს სულ რაღაც 30 თეთრად, გააქვთ რუსეთში და იქ ყიდიან 2 დოლარად. და რა მაინტერესებს იცით, ამას გორელი გლეხი ვერ გააკეთებდა? ნამდვილად არ გაუჭირდებოდა, თუმცა ამ ხელისუფლების გადამკიდე ვერ ახერხებს. ეს კი, ის ხელისუფლებაა, რომელიც შეგნებულად იბრძვის, რათა გაანადგუროს ჩვენი ქვეყანა, რაც გამოსდის კიდეც და რაშიც, სამწუხაროდ, ბევრი ქართველი ე.წ. ოპოზიციონერიც ეხმარება.

# მსახიობებმა მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ აქცია გამართეს

ეკა ირემაშვილი

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრიდან დათხოვილმა მსახიობებმა თეატრის შენობის წინ სპექტაკლი-აქცია გამართეს. აქციაში მონაწილეობდნენ როგორც რამდენიმე დღის წინ სამსახურიდან დათხოვილი მსახიობები, ასევე 2010 წელს თეატრიდან გათავისუფლებული თანამშრომლები. მსახიობმა პავლე ნოზაძემ გარშემო ყველა ის მსახიობი შემოიკრიბა; რომლებიც მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან მისმა მმართველმა მიხეილ ანთაძემ დაითხოვა.

მიხეილ ანთაძეს უკვე წლებია თეატრის მსახიობები უპირისპირდებიან. ისინი რეჟისორს მსახიობების სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებასა და თეატრში თავისი ნათესავების აქტიურ დასაქმებაში ადანაშაულებენ. თეატრის მმართველი დათხოვილ თანამშრომელთა ბრალდებებს არ პასუხობს. თეატრი ამ დროისთვის არც ოფიციალურ კომენტარს აკეთებს.

მიხეილ ანთაძემ მსახიობები სამსახურიდან 2010 წელსაც გაათავისუფლა. მაშინ ამ ფაქტს მოყვა ის, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა.

როგორც საპროტესტო აქციაზე შეკრებილმა მსახიობებმა განაცხადეს, თეატრი მათი მეორე სახლი იყო და ისინი სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ უფუნქციოდ დარჩნენ. როგორც აქციაში მონაწილე ხელოვანებმა განაცხადეს, მათი სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი კი საქართველოს კულტურის მინისტრ ნიკოლოზ რურუასთან გაგზავნილი წერილი იყო, სადაც აღნიშნული იყო თეატრში არსებული პრობლემების შესახებ.

– კულტურის მინისტრს საქმეში გარკვევას ვთხოვდით. სამინისტროდან პასუხი მმართველმა მიიღო და ვინც ამ წერილს ხელს ვაწერდით, ყველა ერთპიროვნულად დაგვითხოვა სამსახურიდან, – განაცხადეს მსახიობებმა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან დათხოვილი თანამშრომლები კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეს მაკო ჭოლოშვილსაც შეხვდნენ და ბიძინა ივანიშვილის ფონდი „ქართუდან" მიღებული დახმარებების შესახებაც ისაუბრეს. ორსაათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ, მსახიობებმა განაცხადეს, რომ მაკო ჭოლოშვილმა დეტალურად მოისმინა მათი პრეტენზიები თეატრის მმართველის, მიხეილ ანთაძის მიმართ და საქმის შესწავლას დაჰპირდა.

თეატრიდან გაშვებულმა მსახიობმა პავლე ნოზაძემ ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრის წინ სიმბოლურად ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლიდან ფრაგმენტი გაითამაშა და დიდროს როლი შეასრულა.

– თეატრიდან გაგვაგდეს, ნოდარ, შენი სახელობის თეატრიდან! ჩვენ შენი გმირების გარეშე დავრჩით, მაგრამ ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ და ვიბრძოლებთ სიმართლისთვის, – განაცხადა პავლე ნოზაძემ.

ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრიდან 40 თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია ცოტა ხნის წინ გავრცელდა. თეატრში ამასთან დაკავშირებით კომენტარს არც თეატრის მმართველი მიხეილ ანთაძე და არც მისი მოადგილე ნინო პავლიაშვილი არ აკეთებენ. გათავისუფლებული მსახიობები კი ამტკიცებენ, რომ მათი სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი საქველმოქმედო ფონდ „ქართუსთან" ურთიერთობის გაგრძელება გახდა. თეატრიდან გაშვებულმა მსახიობებმა თეატრის მმართველ მიხეილ ანთაძესთან შეხვედრაც მოისურვეს, თუმცა ისინი დაცვამ შენობაში არ შეუშვა.

**ნელი ჯავახიშვილი, მსახიობი:**

– ამ აქციაში ის 40 ადამიანი ვმონაწილეობდით, რომლებიც თეატრის მმართველმა სამსახურიდან გაგვიშვა. მან იანვარში დადებული ხელშეკრულება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეგვიწყვიტა. მაშინ, როდესაც პროფკავშირს მივმართეთ, იურისტმა დაურეკა მიხეილ ანთაძეს და ჰკითხა, თუ რაში იყო საქმე. ანთაძემ უპასუხა, რომ ჩვენ მისი მსახიობები არ ვიყავით, რადგან ხელშეკრულება დაგვიმთავრდა. ამით მან კიდევ ერთი ტყუილი თქვა, რადგან ხელშეკრულებას ვადა არ გასვლია. მიხეილ ანთაძეს ჩვენთვის არც სახელფასო დავალიანება მოუცია. ნოემბრის და დეკემბრის ხელფასი არ მოუცია, ასევე ორი წელია არ მოუცია შვებულების ფულიც.

*– რას აპირებთ?*

– ჩვენ პროფკავშირების დახმარებით სარჩელი სასამართლოში უკვე შევიტანეთ და გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ. იურისტმა თეატრიდან ჩვენი გათავისუფლების შესახებ ბრძანება, ასევე ხელშეკრულების ასლები გამოითხოვა, მაგრამ მმართველი არაფერს ატანს. ამჟამად იმ დოკუმენტების მოძიება ხდება, რომლითაც მისი დანაშაულის დამტკიცება მოხერხდება.

**კახა გაბელაია, მსახიობი:**

– თეატრში უამრავი დარღვევაა, რაშიც ბრალი თეატრის მმართველს მიხეილ ანთაძეს მიუძღვის. ეს კაცი ეწევა ნეპოტიზმს. ამიტომ ჩვენ კი არ უნდა წამოვსულიყავით თეატრიდან, არამედ თავად მმართველი უნდა წასულიყო, რადგან ჩვენ სიმართლე ვთქვით და სწორედ ამიტომ დავრჩით სამსახურის გარეშე.

*– რა სიმართლე თქვით?*

– ჩვენი სამსახურიდან დათხოვა მას შემდეგ განხორციელდა, რაც ჩვენ ამ თეატრში არსებული დარღვევების შესახებ კულტურის მინისტრს, ნიკოლოზ რურუას განცხადებით მივმართეთ. ჩვენ ამის გამო თეატრის მმართველმა სამსახურიდან დაგვითხოვა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ჩვენი სამსახურიდან დათხოვნა უშუალო კავშირშია ბიძინა ივანიშვილის საერთაშორისო ფონდ „ქართუდან" მიღებულ ფულად დახმარებასთან, რომლის მიღებაც მმართველმა თანამშრომლებს აგვიკრძალა. ჩვენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეს მოვახსენეთ, რომ ჩვენი დასჯა, თეატრიდან დათხოვნა, უკავშირდებოდა იმასაც, რომ ჩვენ გავაგრძელეთ ხელშეკრულებები საქველმოქმედო ფონდ „ქართუსთან". რაზეც მან განგვიმარტა, რომ სამინისტროს მითითებები არ გაუცია, რომ დაესაჯათ ისინი, ვინც ამ დახმარების მიღებაზე ხელს მოაწერდა. მინისტრის მოადგილემ ბრძანა, რომ სამინისტრომ თეატრებს შესთავაზა, უარი განეცხადებინათ დახმარებების მიღებაზე, თუმცა ეს ინდივიდუალურად, მსახიობის გადასაწყვეტი უნდა ყოფილიყო.

*– რატომ გააგრძელეთ თანამშრომლობა ფონდ „ქართუსთან"?*

– ფონდ „ქართუსთან" თანამშრომლობის გაგრძელების მიზეზი ის იყო, რომ თეატრში შრომის სტაბილური ანაზღაურება არ გვქონდა. თეატრის ხელმძღვანელობამ კი ჩვენ დაგვავალა, რომ უარი გვეთქვა ფონდიდან

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# დაიცავით საავტორო უფლებები!

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ეს ფაქტი თავისთავად გახლავთ კიდევ ერთი დარღვევა საავტორო უფლებებისა. ეს ალბათ არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსხვილი პორტალი ქართულ ვებ-სივრცეში, სადაც ასე უკანონოდ ხდება რეალიზაცია ინტელექტუალური ნაშრომებისა და ეს იწვევს ამ ვებგვერდზე არსებული ყველა ავტორის, იქნება ეს რეჟისორი, კომპოზიტორი თუ ტექსტის ავტორი, საავტორო უფლებების უხეშ დარღვევას. ეს საიტი ერთი თვეა, რაც აღმოვაჩინეთ. იმისთვის, რომ დარწმუნებული ვყოფილიყავით საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტში, გავაკეთეთ ე.წ. საკონტროლო შესყიდვა და ინტერნეტგვერდზე ნატო გელაშვილის კომპაქტ-დისკი შევუკვეთეთ. შეკვეთაზე ჩვენ მივიღეთ ინვოისი, რომლის მიხედვითაც 3.74 დოლარი უნდა გადაგვეხადა. გადახდა ხორციელდება ელექტრონული ფორმით. შევიძინეთ ეს დისკი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფაქტები გვეჭირა ხელში, გადავედით კონკრეტულ მოქმედებაზე.

*– რა ქმედებებზე?*

– ამ ინტერნეტგვერდის მფლობელს, ვინმე რამაზ გეგუჩაძეს, ასოციაციის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 12 საათი მიეცა. რამაზ გეგუჩაძეს ელექტრონული ფოსტით დავუკავშირდით, რადგან სხვა საკონტაქტო ინფორმაცია არ არსებობდა. თუმცა ვადის გასვლის შემდეგ რამაზ გეგუჩაძემ განაცხადა, რომ იგი არ არღვევს საავტორო უფლებებს და მას ხმის ჩამწერი სტუდიებიდან აქვს უფლება მიღებული. ჩვენ ეს ინფორმაცია გადავამოწმეთ და ცხადია, ის არ შეესაბამებოდა სიმართლეს. გეგუჩაძე ელექტრონული ფოსტით შეგვეხმიანა. მას ხისტი პოზიცია ჰქონდა და აცხადებდა, რომ იგი ავტორთა უფლებებს არ არღვევს და მათი ნაწარმოებების უკანონო რეალიზაციას არ ახდენს.

*– კონკრეტულად რას მოითხოვთ?*

– ჩვენმა ასოციაციამ ინტერნეტგვერდის მესაკუთრეს წერილობით ვებგვერდიდან ნაწარმოებების უკანონო განთავსება-რეალიზაციის აკრძალვა და კომპენსაციის გადახდა მოსთხოვა.

*– თუ თქვენი მოთხოვნა არ შესრულდება?*

– ჩვენი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ავტორთა უფლებების დაცვის მიზნით, გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები, მათ შორის, საკითხი შეიძლება სასამართლოს მსჯელობის საგანიც გახდეს, რათა ერთხელ და სამუდამოდ ალიკვეთოს ქართულ ინტერნეტ სივრცეში არალეგალური საქმიანობა.

**ვახო ბაბუნაშვილი, ჯგუფ „სოფთ იჯექტის" წარმომადგენელი:**

– მოვითხოვ რამაზ გეგუჩაძისგან არალეგალური საქმიანობის შეწყვეტას. ვიმედოვნებთ, რომ იგი გაუთვითცნობიერების გამო მოხვდა ამ გაუგებრობაში, ეს არ არის კრიმინალი და ჩვენ არ გვსურს ამ საკითხის სასამართლომდე მიტანა. გეგუჩაძე ნიჭიერი ადამიანია, საინტერესო და კარგად ორგანიზებული საქმიანობა აქვს წამოწყებული და საკმაოდ კარგად იცის ის საქმე, რასაც აკეთებს, ამიტომ ჩვენ მას ვთავაზობთ ლეგალურ სამსახურს, რადგან ჩვენ გვსურს ასეთი ნიჭიერი ადამიანები ლეგალურ საწყისებზე იდგნენ.

*– საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას თქვენ მიმართეთ?*

– კი. ასოციაციას „ალტერვიჟენ ჯგუფის" სახელით მივმართე მაშინ, როცა ეს საიტი აღმოვაჩინეთ. ამ საიტზე განთავსებულია ფილმები და მუსიკალური ნაწარმოებები, რომელთა შეძენა მსურველს საიტზე დარეგისტრირების შემთხვევაში შეუძლია. ვებგვერდი მართლაც საინტერესოდ არის გაკეთებული. სასურველი იქნებოდა, თუ ასეთი ნიჭიერი ადამიანი ლეგალურად იმუშავებდა ჩვენთან ერთად. ჩვენი კომპანია მზად არის მას ოფისი და საქმე შესთავაზოს, რადგან ასეთი ნიჭის ადამიანებს ჩვენ ვეძებთ. ამ ნიჭის მქონე ადამიანი ჯობია იყოს ლეგალურ საწყისებზე და ისე აწარმოებდეს თავის საქმიანობას და ჰქონდეს ლეგალური შემოსავალი, ვიდრე ასე არალეგალურად საქმიანობდეს. ჩვენ დიდი ხანი ვეძებდით მას სწორედ იმისთვის, რომ მისთვის სამსახური შეგვეთავაზებინა.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● სოფ. ასურეთში 170კვ.მ გასარემონტებელი სახლი, 800კვ.მ მიწის ნაკვეთით, ხეხილით და ვაზის ტალავერით. ბოლო ფასი: 15.000 დოლარი. ტელ.: 8-790-55-58-62, 592-49-85-55.

## განცხადებები

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკისა და რაოდენობის ფოთლოვან და წიწვოვან ხე-მცენარეთა ნერგები, ფასი 5-დან 50 ლარამდე. დავეხმარებით აგრეთვე დეკორატიული კუთხეების მოწყობასა და მის გამწვანებაში. ტელ: 599-15-67-28; 2-36-28-78.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან იცვლება საკუთარი სახლი საერთო ფართით 110 კვ.მ. 1,5 ან 2-ოთახიან ბინაზე შესაბამისი თანხის დამატებით. ფასი 55.000 დოლარი. მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ, სახლი №5ა. ტელ: 599-41-52-29; 568-10-65-48; 232-52-29; 231-48-72.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000კვ. მ, შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 0790-90-32-96, 253-15-87, 568 -65-74-86.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 598-24-40-90; 557-41-60-91 დათო.

● ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.

# ბარსელონა და ბაიერნი მეტოქეებს ელიან

**ბარსელონა-მილანი 3:1**

*1:0 მესი (11პ), 1:1 ნოჩერინო (33), 2:1 მესი (41პ), 3:1 ინიესტა (53)*

**ბარსელონა:** ვალდესი, ალვესი, პიკე (ადრიანო 75), მასკერანო, პუიოლი, ბუსკეტსი, ჩავი (ტიაგო 63), ინიესტა, მესი, ფაბრეგასი (კეიტა 78), კუენკა

**მილანი:** აბიატი, აბატე, ნესტა, მექსე, ანტონინი, ნოჩერინო, ამბროზინი, ზეედორფი (აკვილანი 60), ბოატენგი (პატო 70, ლოპესი 83), რობინიო, იბრაჰიმოვიჩი

ასეთო დონის მატჩში პენალტებით გატანილი გოლები, თანაც ისეთი, რომელიც ორრაუნდიანი დაპირისპირების ბედს წყვეტს, თავისებურ დაღს ასვავს მატჩს. თუმცა, მსაჯს ეს პენალტებიც რომ არ დაედო, ვფიქრობთ, „ბარსელონა“ მაინც მოახერხებდა მისთვის სასურველი ანგარიშის დაფიქსირებას. ასე რომ, კატალონიური კლუბის ნახევარფინალში გასვლა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. „ბარსა“ უფრო მობილირად გამოიყურებოდა, ხოლო ინიესტას გოლის შემდეგ ყველაფერი გადაწყვეტით გამოჩნდა. „ბარსამ“ მეტოქეზე თავისი უპირატესობა თვალნათლივ დაგვანახა. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მთელი 90 წუთის განმავლობაში, მილანელებმა ერთადერთი სახიფათო მომენტი შექმნეს.



„ბარსელონას“ პირველი საზრუნავი გოლის გატანა იყო და აბიატის კარს თავიდანვე ეკვეთნენ. დასაწყისშივე მოუხდა მილანელთა მეკარეს გვარიანი ნერვიულობა. მე-5 წუთზე, მესის სოლორეიდისა და დარტყმის შემდეგ, ბურთი მეკარემ აილო. ორ წუთში, ალვესისა და ფაბრეგასის ბრწყინვალე კომბინაციის შემდეგ, მესი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ არგენტინელმა ამჯერად არაზუსტად დაარტყა.

მე-10 წუთზე მესიმ მექსეს ბურთი აართვა და კარისკენ დაიძრა. საჯარიმოში შეჭრილმა არგენტინელმა ჩავის უპასა და მართალია, მასპინძელთა ნახევარმცველმა დარტყმა ვერ მოახერხა, მაგრამ ანტონინის ცუდი თამაშის შემდეგ, ბურთი კავლავ მესისთან მივიდა, რომელიც აბიატისთან პირისპირ რჩებოდა, რომ არა სტუმართა 77-ე ნომრის მიერ წესების დარღვევა. არბიტრმა თერთმეტმეტრიანი უყოყმანოდ დანიშნა და მესიმ ანგარიში გახსნა – 1:0.

„მილანმა“ ერთადერთი სახიფათო მომენტი 33-ე წუთზე შექმნა – იბრაჰიმოვიჩის კარგი პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა ნოჩერინომ ზუსტად დაარტყა და სტუმარი გუნდისთვის ხელსაყრელი ანგარიში დააფიქსირა. „ბარსას“ წინ გასვლა მალევე შეეძლო, მაგრამ 36-ე წუთზე, ჩავის სახიფათო დარტყმა აბიატიმ მოიგერია.

კატალონიელებმა ტაიმი მაინც მოიგეს. მე-40 წუთზე, სტუმართა კართან კუთხურის მოწოდების დროს, ნესტამ ბუსკეტსი ჯერ მაისურით დაიჭირა, შემდეგ კი წააქცია. არბიტრმა საკამათო სიტუაციაში „ბარსას“ მხარე დაიჭირა და მესის დუბლის შესრულების საშუალება მისცა. აღვნიშნავთ, რომ „ბარსელონას“ არგენტინელ ლიდერს, იტალიური გუნდებისთვის 3 გოლი აქვს გატანილი, სამივე „მილანის“ კარში და ყველა მათგანი თერთმეტმეტრიანით.

აქვე, იმ მიღწევებსაც გავუსვათ ხაზი, რომლებითაც მესიმ დუბლის შემდეგ თავი გამოიჩინა. არგენტინელი გახდა პირველი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგაში, რომელმაც ერთ სეზონში თორმეტ გოლზე მეტის გატანა მოახერხა. გარდა ამისა, მესი გაუთანაბრდა „მილანის“ ლეგენდას, ჟოზე ალტაფინის, რომელსაც ჩემპიონთა თასის ერთ გათამაშებაში 14 გოლი აქვს გატანილი. ამაზე მეტი, უმთავრეს ევროპულ საკლუბო ტურნირზე არავის გაუტანია. სულ, ლეოს ჩემპიონთა ლიგაში მეტოქეთა კარი 51-ჯერ აულია. ამ მაჩვენებლით, მესიმ ტიერი ანრის გადაასწრო და მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. მის წინ მხოლოდ რუდ ვან ნისტელროი (56 გოლი) და რაული (71) არიან. თუ ევროტურნირებზე გატანილ გოლებს დავითვლით, „ბარსას“ არგენტინელ ვარსკვლავს 52 ბურთი დაუგროვდება. „მილანთან“ თამაშის შემდეგ, მან ლეგენდარულ თანამემამულეს, ალფრედო დი სტეფანოს გაუსწრო და მე-10 ადგილზე გადაინაცვლა.

მე-2 ტაიმში, სახიფათო მომენტებმა იკლეს. 53-ე წუთზე, მესიმ გატანა საჯარიმოს წინა ხაზიდან სცადა და მართალია, მის დარტყმას წინ „მილანის“ მცველი გადაეღობა, მაგრამ ბურთი ინიესტასთან მივიდა, რომელიც სიტუაციაში ძალიან კარგად გაერკვა და კატალონიელთა მე-8 ნომრის ზუსტი დარტყმის შემდეგ, ორრაუნდიან დაპირისპირებას წერტილი დაესვა.

ამის მიზეზი ისაა, რომ უკვე ფრთხილად მოთამაშე „ბარსა“ გოლის გატანა აღარ სჭირდებოდა და ძალებს ზოგავდა, რის გამოც ფრთხილად თამაშობდა. თან ისეთი ყურადღებით, რომ მეტოქეს საჯარიმოსთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლეო მესი**

ეს ფეხბურთელი ყველა მატჩის შემდეგაც რომ საუკეთესოდ ვაღიაროთ, გასაკვირი არ უნდა იყოს. მესიმ მორიგი დიდებული მატჩი ჩაატარა და რამდენიმე რეკორდი დაამხო და ალტაფინის რეკორდი გაიმეორა.

## მატჩის შემდეგ:

**მასიმილიანო ალეგრი:**

– „ბარსელონამ“ პენალტი ორჯერ დაარტყა. ერთი ჩვენ ვაჩუქეთ, მეორე კი მსაჯმა. ბევრ შეცდომას ვუშვებდით და არაზუსტ გადაცემებს ვაკეთებდით, მაშინ, როცა თავისუფალ სივრცეში გარღვევის შესაძლებლობა იყო. თუმცა საბოლოოდ ტურნირს მაინც თავაწეულნი ვტოვებთ.მას შემდეგ, რაც ანგარიში 1:1 გახდა, ვიგრძენით, რომ შემდეგ რაუნდში გასვლა შეგვეძლო, რადგან „ბარსელონა“ აფორიაქებული ჩანდა მაგრამ პირველი ტაიმის საფინალო სასტვენის წინ ის საეჭვო პენალტი დაგვინიშნეს. შესვენების შემდეგ კი რიკოშეტმა მეტოქეს მესამე გოლის გატანის საშუალება მისცა. ამან „ბარსელონას“ ამოსუნთქვის საშუალება მისცა და კატალონიური გუნდიც ბურთსაც ბევრად უკეთ აკონტროლებდა.

**პეპ გვარდიოლა:**

– როდესაც ფეხბურთელს მაისურით იჭერენ, პენალტი ინიშნება. პირველ ტაიმში სამი მცველით ვთამაშობდით, რათა უფრო მეტი მომენტი შეგვექმნა. ამიტომ კარში 21-ჯერ დავარტყით „მილანის“ სამი დარტყმის წინააღმდეგ. თავს კარგად ვიცავდით. მას შემდეგ კი, რაც ანგარიში 2:1 გახდა, ოთხი მცველით თამაშს დავუბრუნდით.

**ბაიერნი-მარსელი 2:0**

*1:0, 2:0 ოლიჩი (13, 37)*

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი, ლამი, ბოატენგი, ბადშტრუბერი, ალაბა, ტიმოშჩუკი, გუსტავო, მიულერი (რაფინია 40), კროოსი (პრანიიჩი 67), რიბერი, ოლიჩი (გომესი 74)

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა, ასპილიკუეტა, ფანი, ნ'კულუ, მორელი (ამალფიტანო 46), მ'ბია, ა. აიუ, შეირუ, ვალბუენა, რემი (კაბორე 63), ბრანდაო (ჟინიაკი 74)

ბავარიელებმა მატჩის ბედი ერთი კვირის წინ „ველოდრომზე“ გადაწყვიტეს, ამიტომ მეორე მატჩში იუპ ჰაინკესმა როტაციას მიმართა და რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა. და მაინც, „მარსელმა“ ვერაფერი გააწყო გაცილებით ძლიერ მეტოქესთან. ფრანგებმა ვერაფერი შესთავაზეს მეტოქეს, ხოლო „ბაიერნი“ ბოლოს „ბარსელონას“ წააგავდა – ბურთს აგორებდა და მშვიდად ელოდებოდა მატჩის დამთავრებას.

ბავარიელებმა აგრესიულად დაიწყეს მატჩი და მანდანდასთან კართა თავიდანვე მიიტანეს იერიშები, მაგრამ „მარსელმა“ ამ დაწოლას გაუძლო. მეტიც, თავადაც შექმნა მომენტი, თუმცა ვერ გამოიყენა და იქვე დაისაჯა. მე-13 წუთზე, რიბერის კარგი თამაშისა და მარჯვენა ფლანგიდან გაკეთებული გადაცემის შემდეგ, ოლიჩს მხოლოდ ზუსტად დარტყმა მართებდა და მიუნხენელთა შემტევმა ფრანგ თანაგუნდელს გარჯა დაუფასა. 37-ე წუთზე, მარცხენა ფლანგიდან ალაბას ჩაწოდების შემდეგ, ოლიჩი იდენტურ სიტუაციაში აღმოჩნდა და დუბლის გაფორმება არ გასჭირვებია.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ფრენკ რიბერი**

მართალია, ოლიჩმა დუბლი გაიფორმა, მაგრამ ორივე მისი გოლი ასისტენტების დამსახურება უფრო იყო. სწორედ რიბერიმ გამოუცხო პირველი გოლი, მეორეში კი ალაბას მთელი მორდნის ისრძეზე გაუკეთა პასი, რის შემდეგ მივიდა ბურთი ოლიჩამდე. ამასთან, რიბერის ბევრს მოძრაობდა, თამაშს ამწვავებდა და თანაგუნდელებს აქტიურად ეხმარებოდა დაცვაშიც.

# ცვლილებები „სოხუმში“

საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ ვებგვერდის ცნობით, ხელმძღვანელობამ გუნდის სამწვრთნელო შტაბში ცვლილებები განახორციელა. რიმვიდას სამულენასს, რომელსაც 2011 წლის ნოემბრიდან „სოხუმის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობა ეკავა, მიმდინარე წლის 31 მარტს კლუბთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად მუშობის ვადა ამოეწურა. კლუბის პრეზიდენტმა მინდია გულუამ და მთავარმა მწვრთნელმა რიმვიდას სამულენასმა „მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმად 2012 წლის 1 აპრილიდან ბატონი სამულენასი კონტრაქტის ვადის ამოწურვის გამო აღარ გაგრძელებს გუნდის მთავარ მწვრთნელად მუშაობას“. რ.სამულენასსა და „სოხუმის“ ხელმძღვანელობას „ერთმანეთისადმი პრეტენზიები არ გააჩნიათ“.

„სოხუმის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია შეასრულებს, რომელიც 1995-2010წწ. გუნდის უცვლელი მწვრთნელი იყო და ცნობილი ქართველი კალათბურთელების მთელი პლეადა აღზარდა, რომლებიც გამოდიოდნენ და ამჟამადაც გამოდიან საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. აპრილამდე იგი მთავარი მწვრთნელის პირველი ასისტენტი იყო.

– ამ ეტაპზე გუნდის მთავარი მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია იქნება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მომავალში გუნდის მთავარ მწვრთნელად სხვა სპეციალისტი დაინიშნოს, ხოლო ვაჟა კვარაცხელია კვლავ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად გადავიდეს, – წერია ვებგვერდზე.

# გია გურული ბათუმის „დინამოს“ მწვრთნელია

გია გურული ბათუმის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, სადაც სოსო ნასუაშვილი შეცვალა. ბათუმის „დინამო“ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ქვედა რვა გუნდს შორის მე-7 პოზიციაზეა და უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვის.

შეხსენებისთვის, 47 წლის მწვრთნელი 2004-2005 წლებში საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც მუშაობდა და ფრანგი ალენ ჟირესის თანაშემწე გახლდათ. გურული უფრო საფრანგეთში საქმიანობდა და „დიუნკერკის“ ახალგაზრდულ გუნდსაც წვრთნიდა. პარალელურად, გურულის მეშვეობით, არაერთი აფრიკელი ფეხბურთელი ჩამოსულა ქართულ კლუბში: პოლ კესანი, ერიკ ჩასემი, ბოიომო ფრიდოლინი და სხვები.

გეცოდინებათ ისიც, რომ გურული ფეხბურთელობისას თბილისის „დინამოში“, ლანჩხუთის „გურიაში“, პოლონურ „კატოვიცესა“ და ფრანგულ „ლე ავრში“ ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი გახლდათ. გურულს 3 მატჩი ეროვნულ ნაკრებშიც ჩაუტარებია.

საინტერესოა, რომ გიას საფეხბურთო კარიერაში პირველი პროფესიული კლუბი სწორედ ბათუმის „დინამო“ იყო, საიდანაც 1982 წელს გადავიდა თბილისის „დინამოში“.

# საქართველომ იტალია კაცნაკლულმა დასცა

ილია მაისურაძის მიერ გაწვრთნილმა 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე 20:18 დაამარცხა იტალია და მადრიდში მიმდინარე 8-გუნდიან ტურნირზე მეხუთე ადგილისთვის თამაშში შოტლანდიას შეხვდება.

იტალიასთან მატჩი უკიდურესად დაძაბული გამოდგა და დრამატული ფინალი ჰქონდა. ქართველმა მორაგბეებმა შეცდომებით დაიწყეს და საწყის 20 წუთში ორი ლელო გაუშვეს, რის შემდეგაც 0:12 ჩამორჩნენ ანგარიშში, თუმც პირველი ტაიმის ბოლოს შეძლეს ძალების მობილიზება და ჯერ საჯარიმო გაიტანეს, შემდეგ კი ლელოც დადეს და გარდასახვის შემდეგ შესვენებაზე 10:12 ჩამორჩენით გავიდნენ.

ქართველი მორაგბეებისთვის მძიმედ დაიწყო მეორე ტაიმიც. მსაჯმა ერთმანეთის მიყოლებით სამი ქართველი მორკინალი 10-10 წუთით გაასინბინა და იტალია ორი საჯარიმოს გატანის შემდეგ 18:10 დაწინაურდა, როცა შეხვედრის დასრულებამდე დაახლოებით 15 წუთი რჩებოდა.

ქართველებმა დიდი ძალისხმევის ფასად შეძლეს მეტოქისთვის გამარჯვების ხელიდან წართმევა. ახლოს იყვნენ ლელოსთან, თუმც მეტოქის დაჯარიმების შემდეგ საჯარიმოს დარტყმა არჩიეს, ანგარიში 13:18 შეამცირეს და ძალა ბოლო წუთებისთვის შემოინახეს.

ბოლო წუთები ძალზე დაძაბული გამოდგა, საბოლოოდ იტალია გატყდა და ლელო გაუშვა. 18:18 ანგარიშზე საქართველოს ნაკრებმა გარდასახვაც გაიტანა და თამაშიც იქვე დასრულდა.

ამგვარად, ილია მაისურაძის გუნდი მეხუთე ადგილისთვის შოტლანდიას შეხვდება, რომელმაც 32:12 დაამარცხა პორტუგალია.

ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში კი ერთმანეთს ხვდებიან ინგლისი-უელსი და საფრანგეთი ირლანდია.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის პირველ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა 8:58 დათმო ინგლისთან.

იტალიელებთან კი ილია მაისურაძემ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა:

საქართველო: 15.იოსებ კიკვაძე (გიორგი აფციაური 49), 14.დევი დევსურაშვილი, 13.ნიკა ამაშუკელი, 12.ილია მელაძე (გიორგი ნათელაშვილი 63), 11.გიორგი ფრუიძე, 10.რევაზ ჯინჭველაშვილი, 9.რევაზ ბრონძელი; 1.ზაურ ხარებავა, 2.ბექა ფირიაშვილი, 3.გიორგი მარგველანი, 4.ფარნავაზ გასვიანი, 5.შალვა შაშიაშვილი (ბადრი ალხაზაშვილი 52), 6.გიორგი გოგლიძე, 7.საბა შუბითიძე, 8.ვახტანგ ამირანაშვილი (ონისე მოგელაშვილი 43).

# საქართველოს ნაკრების მოსამზადებელ ეტაპს ავსტრიელები გეგმავენ

საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს 18 აგვისტოს დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ შესარჩევში საქართველოს ნაკრების მეტოქეები რუმინეთი, ჰოლანდია, ბოსნია და ლატვია არიან.

სადებიუტო შეხვედრაში რუმინეთს უმასპინძლებს. მანამდე, დაახლოებით ერთი თვით ადრე, ქართველი კალათბურთელები იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით შეკრებაზე გადავლენ.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრებისთვის ევრობასკეტ 2013-ის შესარჩევი ტურნირის მოსამზადებელი გრაფიკი დაადგინა, რომლის თანახმადაც, ოფიციალური მატჩების ჩატარებამდე, ქართველი კალათბურთელები რვა საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ. უკვე ტრადიციულად, საქართველოს ნაკრებს თბილისშიც ვიხილავთ, როდესაც ოთხთა ტურნირის ეგიდით, იგორ კოკოშკოვის შეგირდები უკრაინას, ესტონეთსა და ბელორუსს გაეჯიბრებიან.

**საქართველოს ნაკრების 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთავის მოსამზადებელი გეგმა და ოფიციალური მატჩების განრიგი ასეთია:**

**1-16 ივლისი:** ფიზიკური მომზადების ვარჯიშები თბილისში

**17-28 ივლისი:** შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია)

**29-31 ივლისი:** საერთაშორისო ტურნირი ტალინში (ესტონეთი). მონაწილეობენ: საქართველო, ესტონეთი, ჩეხეთი და აშშ-ს ერთ-ერთი საუნივერსიტეტო გუნდი

**1-5 აგვისტო:** შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია)

**4 აგვისტო:** საკონტროლო მატჩი ავსტრია-საქართველო ავსტრიაში (ქალაქი დადგინდება მოგვიანებით)

**7-9 აგვისტო:** საერთაშორისო ტურნირი თბილისში. მონაწილეობენ: საქართველო, უკრაინა, ესტონეთი, ბელარუსი

**13 აგვისტო:** საკონტროლო მატჩი გერმანია-საქართველო ლაიფციგში (გერმანია)

**18 აგვისტო:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-რუმინეთი თბილისში

**21 აგვისტო:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ბოსნია-საქართველო სარაევოში (ბოსნია)

**24 აგვისტო:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ლატვია თბილისში

**27 აგვისტო:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჰოლანდია-საქართველო ალმერეში (ჰოლანდია)

**2 სექტემბერი:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი რუმინეთი-საქართველო სიბიუში (რუმინეთი)

**5 სექტემბერი:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ბოსნია თბილისში

**8 სექტემბერი:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლატვია-საქართველო რიგაში (ლატვია)

**11 სექტემბერი:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ჰოლანდია თბილისში

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-მარსელი | 2:0 |
| ბარსელონა-მილანი | 3:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნლი-ბირმინგემი | 1:3 |

**პოლონეთი. თასი**

| | |
|---|---|
| რუხი-ვისლა | 3:1 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-ნიუ იორკი | 112:104 |
| კლივლენდი-სან ანტონიო | 90:125 |
| ტორონტო-შარლოტი | 92:87 |
| დეტროიტი-ორლანდო | 102:95 |
| მაიამი-ფილადელფია | 99:93 |
| მემფისი-გოლდენ სტეიტი | 98:94 |
| საკრამენტო-ფიქნიქსი | 100:109 |
| ლეიკერსი-ნიუ ჯერსი | 91:87 |

**ჩოგბურთი**

**ვტა. ჩარლსტონი. თიხა**

| | |
|---|---|
| რუსი-ტატიშვილი | 6:1;4;6;4:6 |
| შვედოვა-პანოვა | 6:0;6:4 |
| ლეპჩენკო-იაკიმოვა | 6:2;5:7;6:2 |
| უილიამსი!ვ.-ბენეშოვა | 6:4;6:3 |
| ერაკოვიჩი-პლიშკოვა | 6:2;6:4 |
| პეტროვა-დუკე მარიანო | 6:1;6:2 |
| ზვონარევა-ბონდარენკო კ. | 6:1;6:1 |
| პავლუჩენკოვა-დანილიდუ | 3:6;6:4;6:4 |
| სტოსური-ჰემპტონი | 6:0;7:5 |
| უილიასი!ს.-ვესნინა | 6:3;6:4 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-ტორონტო | 6:5(ოტ) |
| ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 3:1 |
| ფილადელფია-რეინჯერსი | 3:5 |
| ბოსტონი-პიტსბურგი | 3:5 |
| ოტავა-კაროლინა | 1:2 |
| ფლორიდა-ვინიპეგი | 4:5(ოტ) |
| ნეშვილი-მინესოტა | 1:1(1:0ბ) |
| დალასი-სან ხოსე | 2:5 |
| ვანკუვერი-ანაჰაიმი | 4:4(1:0ბ) |
| ფინიქსი-კოლამბუსი | 2:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ბათუმის თეატრი თბილისში ჩამოდის

ეკა ირემაშვილი

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი თბილისში ჩამოვა და გასტროლს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გამართავს. სპექტაკლი „აუშვიცი – ფერფლის პლანეტა“ 5 აპრილს არის დაგეგმილი და ის დევიდ ზან მაიროვიცის პიესის მიხედვით რეჟისორმა ირაკლი გოგიამ დადგა. რეჟისურის გარდა, ირაკლი გოგიას ეკუთვნის სცენოგრაფია და მუსიკალური გაფორმება. წარმოდგენაში მონაწილეობენ დიმიტრი მელია (გორელიკი) და თამარ მახარაძე (ექიმი).

– მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარშია, ნუ შეგაშინებთ თეატრის დასახელება, რადგან „ფერფლის პლანეტა“ საბავშვო წარმოდგენა არ გახლავთ. სპექტაკლი ექსპერიმენტულია, ის 50 წუთს გრძელდება და მსახიობებთან ერთად მაყურებელიც სცენაზეა. სპექტაკლი აგებულია ცნობილი დრამატურგის დევიდ ზან მაიროვიცის რადიო პიესის „ფერფლის პლანეტა“ მიხედვით. ეს გახლავთ მეორე მსოფლიო ომის დროის ადამიანის ტრაგიკული ისტორია. სპექტაკლში მოქმედება ვითარდება აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც 4 მილიონზე მეტი ებრაული და სხვა ეთნიკური ჯგუფის ხალხი გერმანელებმა აწამეს. სპექტაკლში სრულყოფილად არის წარმოჩენილი სიყვარულის და სისასტიკის, ძალაუფლების და კაცთმოყვარეობის პრობლემა და ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ნებისმიერ საშინელ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანური სახის და ჰუმანური პოზიციის შენარჩუნებას. ახალგაზრდა რეჟისორი სპექტაკლში იყენებს ექსპე-



რიმენტულ მულტიმედიურ ელემენტებს – რადიო და ვიდეო ეფექტებს, – განაცხადა თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა.

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი თბილისური გასტროლის შემდეგ ბელორუსშიც მიემგზავრება, სადაც 3 ივლისს სპექტაკლი წარმოდგენილი იქნება მინსკში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, რომელსაც მსოფლიო თეატრმცოდნეთა მე-9 საერთაშორისო კონგრესის მონაწილეები დაესწრებიან.

# დაუბრუნდით წიგნებს!

ეკა ირემაშვილი

– ახალგაზრდობა აუცილებელია დაუბრუნდეს წიგნებს, ბავშვებმა წიგნის სიყვარული ბავშვობიდანვე უნდა გაითავისონ, – ასე მიმართა შეკრებილ საზოგადოებას პოეტმა ალექსი ნამორაძემ, რომლის რიგით მესამე კრებულის პრეზენტაცია მერიის 42-ე ბიბლიოთეკაში გაიმართა. პირველ და მეორე კრებულში საბავშვო ლექსებია გაერთიანებული, ხოლო მესამე კრებულში დაწერილი ლექსები უკვე უფროსი თაობის მკითხველისთვის არის განკუთვნილი. წიგნის წარდგინების ცერემონიალი ბიბლიოთეკის გამგემ ომარ შოთაშვილმა გახსნა.

– ალექსი ნამორაძის შემოქმედება საკმაოდ საინტერესოა, მისი ლექსები აქ შეკრებილმა სტუდენტებმაც წაიკითხეს და სკოლის მოსწავლეებმაც. ამგვარი ღონისძიებები მომავალი თაობებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ავტორებთან შეხვედრა უფრო აახლოებს წიგნთან მოსწავლე-ახალგაზრდობას. ეს ალექსი ნამორაძის მესამე კრებულია. ვულოცავ მას ახალი წიგნის დაბადებას და კიდევ არაერთი კრებულის გამოცემას ვუსურვებ, – განაცხადა ომარ შოთაშვილმა.

„ფიქრის ოკეანეში“ – ასე ეწოდება კრებულს, რომელშიც პოეტმა მკითხველს თანამედროვე ცხოვრების ჭირ-ვარამზე დაფიქრების საშუალება მისცა. კრებულში მკითხველი იპოვის თანამედროვეობის სევდიან სურათებს, რომელიც მამულის სიყვარულით გულატკიებული პოეტის სულისთქმად ქცეულა. საღამო მუსიკალურად დებმა მიშელაძეებმა გააფორმეს. თავად პოეტმა კი შეკრებილი საზოგადოებისთვის პოეზიის სამყაროში მის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები გაიხსენა.

– არასოდეს დამავიწყდება, როცა შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პარტკომის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჩემმა ლექსმა პირველი პრემია მიიღო. დიდი სურვილი მაქვს, რომ ახალგაზრდები ლიტერატურის და პოეზიის სამყაროში აქტიურად იყვნენ ჩაბმული. დაუბრუნდით წიგნებს! ეს ყველაზე მთავარია, – აღნიშნა პოეტმა ალექსი ნამორაძემ.

ახალი კრებულის პრეზენტაციის დასასრულს, პოეტმა ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეები თავისი საბავშვო ლექსების წიგნებით დაასაჩუქრა.

# გელბახიანი პატარკაციშვილის პოლიტმემკვიდრეობის აღდგენას გეგმავს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველო“ საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობის აღდგენას ასახელებს. ამის შესახებ დღეს „ჩემი საქართველოს“ პრეზენტაციაზე გამგეობის თავმჯდომარემ ვალერი გელბახიანმა განაცხადა.

მისი თქმით, ორგანიზაცია სამუშაო თემატიკით შეზღუდული არ იქნება, მაგრამ გამოკვეთილი მიმართულებები ექნება. ესენია – იმ პროგ-



ვალერი გელბახიანი

რამებისა და პროექტების მომზადება, რომლებიც მიზნად ისახავს არსებული სოციალ-ეკონომიური პრობლემების რეგულაციას და ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. პრიორიტეტი მიენიჭება დასაქმებისა და სოციალურ პროგრამებს.

„შევისწავლეთ და გავაანალიზეთ სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურა და აღმოვაჩინეთ, რომ ამ მიმართულებით მომუშავე სუბიექტებში გარკვეული ნაკლოვანებები არის“– განაცხადა გელბახიანმა და განმარტა, რომ პოლიტიკური პარტიები ვერ ასრულებენ იმ ფუნქციას, რაც საკანონმდებლო ინიციატივებთანაა დაკავშირებული.

პოლიტიკურ ძალებთან აქტიური კონსულტაცია დაიწყება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე შესაბამისი კანონპროექტების მოსამზადებლად.

„ჩემი საქართველო“ ასევე აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

გელბახიანის განცხადებით, ორგანიზაცია აღადგენს პატარკაციშვილის მიერ 2007 წელს გამოქვეყნებულ პროგრამას.

ნიუსპრესი

# მსახიობებმა მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ აქცია გამართეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დახმარების მიღებაზე, სანაცვლოდ კი ხელფასების მომატებას დაგვპირდნენ. ჩვენ ხელფასების მომატების გარანტია არ გვქონდა. ამ თეატრს მსახიობების რამდენიმეთვიანი სახელფასო დავალიანება აქვს.

*– ახლაც იღებთ დაფინანსებას „ქართუდან“?*

– დიახ, ჩვენ ბიძინა ივანიშვილის ფონდი „ქართუდან“ ფულად დახმარებას კვლავ ვიღებთ.

**ბერტა ხაფავა, მსახიობი:**

– ჩვენ ამ თეატრიდან 2010 წელს დაგვითხოვეს. ამ თეატრის მმართველმა მიხეილ ანთაძემ მას შემდეგ გაგვიშვა, რაც თეატრში არსებული პრობლემების შესახებ ხმამაღლა განვაცხადეთ. პირადად მე ხმამაღლა ვთქვი თეატრში არსებული პრობლემების შესახებ. ამ კაცმა თეატრში მოიყვანა თავისი 35 ნათესავი. მე კი სიმართლისთვის დესტრუქციულ ძალად შემრაცხა და თეატრიდან გამომიშვა: ჩვენ რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრს უკვე შეერთებული ვიყავით. შენობა რემონტდებოდა, რემონტი ნიკა ჯანდიერს დაამთავრებინეს, მერე გაუშვეს და მოიყვანეს ეს უვიცი კაცი. მაგას საბავშვო ცენტრი ჰქონდა, რომელიც ორ-სამკაციან სპექტაკლისმაგვარ სცენებს დაბადების დღეებზე სკოლებსა და ბაღებში თამაშობდა. როცა ის თეატრში მოვიდა, სწორედ ასეთი სპექტაკლების დადგმა მოისურვა. ჩვენ ვუთხარით, რომ ეს არ იყო სპექტაკლი. ჩვენ გადასარევი სპექტაკლები გვქონდა და არაჩვეულებრივი რეჟისორები გვყავდა. ჩამონათვალს მარტო მუმუშა გაწერელია ეყოფა, რომელიც ჩვენთან შესანიშნავ სპექტაკლებს დგამდა. ის რომ თეატრიდან წავიდა, კარგი მუშაობა ინერციით გაგრძელდა, მაგრამ ბოლოს შეწყდა. „ქამუშაძის გაჭირვება“, „რღვევა“, „ირინეს ბედნიერება“, „მერი პოპინსი“ შესანიშნავი სპექტაკლები იყო. მოვიდა ეს და მოიტანა „ბალაგანი“. ბალაგანის თეატრი ურმით დახრიგინებდა და ახლა ზუსტად ასეთი ურემი აქვს თეატრთან მიყუდებული. ერთხელ ვუთხარი, ამ შენს მოტანილ ურემზე დაჯექი, დასვი შენი მსახიობები და აქედან წახრიგინდი, მთელი თეატრი გაანადგურე-მეთქი. ასე ვუთხარით მე, ნათია კუპატაძემ, ნათელა მაჭავარიანმა, ოთარ ბალათურიამ და ყველა, ვინც ხმა ამოიღო, თეატრიდან გამოგვიშვა.

*– 2010 წელს რამდენი ადამიანი გაგათავისუფლეს?*

– 15. ანუ ის ხალხი, ვინც ხმა ამოიღო. ვინც გაჩუმდა, ის თეატრში დარჩა.

*– თქვენი გათავისუფლების ოფიციალური მიზეზი რა გახდა?*

– „დესტრუქციული ძალები“ – ასე ჩაგვიწერა ფურცელზე. თურმე იმ „არაჩვეულებრივ“ სპექტაკლებს რომ დგამს, ჩვენ ამაში ხელს ვუშლით. მისი ყოფნა თეატრში არ შეიძლება. სულელური სპექტაკლების იქით ვერ მიდის. იქვე ჰყავს ერთი რეჟისორიც, თამარ თუხარელი, რომელიც ფარმაცევტია. 60 წლის ქალი ახლა სწავლობს რეჟისურას. თქვა, დავამთავრებ და კარგ სპექტაკლებს დავდგამო. აი, ანთაძე მას ადგმევინებს სპექტაკლებს. ეს ვერ ავიტანეთ და ვთქვით, სამაგიეროდ, სამსახურები დავკარგეთ.

**ზურაბ ვადაჭკორია, ილუზიონისტი:**

– მეც სამსახურის გარეშე დავრჩი, მეც ამ თეატრში ვმუშაობდი. თუ მიხეილ ანთაძეს დაავალეს, რომ მსახიობები გაეშვა თეატრიდან, მას უნდა ჰყოფნოდა კაცობა და მსახიობები კი არ დაეთხოვა თეატრიდან, არამედ თავად უნდა წასულიყო. ახლა კი რა გამოვიდა? ჩვენ თეატრიდან გაგვიშვეს და განუკითხაობა ამ თეატრში ისევ გრძელდება.

**ქეთი დოლიძე, რეჟისორი:**

– დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი ფაქტები სხვა თეატრებშიც მოხდება. დაიმახსოვრეთ, აუცილებლად სხვა თეატრების მსახიობებიც დაისჯებიან, თუ უარს არ იტყვიან ბიძინა ივანიშვილის დახმარებაზე.

# სომალის ეროვნულ თეატრში ძლიერი აფეთქება მოხდა

თეატრზე თავდასხმა ზეიმის დროს განხორციელდა. ზეიმს სომალური ტელევიზიის პირველი წლისთავთან დაკავშირებით, ტელევიზიის თანამშრომლები, ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები მართავდნენ.

როგორც ცნობილია, აფეთქების შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა. დაჭრილებისა და დაშავებულებს შორის პარლამენტის წევრებიც არიან.

ღონისძიებას სომალის პრემიერ-მინისტრიც ესწრებოდა, თუმცა, ჯერჯერობით მასზე არანაირი ინფორმაცია არ ვრცელდება.

წინასწარი ინფორმაციით აფეთქება თვითმკვლელმა ტერორისტმა მოაწყო.

სომალი (ოფიციალური სახელი სომალის რესპუბლიკა), სახელმწიფო აფრიკაში, სომალის ნახევარკუნძულზე. ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება ჯიბუტი, სამხრეთ-დასავლეთიდან კენია, ჩრდილოეთით მდებარეობს ადენის ყურე რომლის მეშვეობითაც ხდება დაკავშირება იემენთან, აღმოსავლეთიდან სომალს ესაზღვრება ინდოეთის ოკეანე, ხოლო დასავლეთიდან ეთიოპია.



სომალის რელიეფი ძირითადად შედგება ვაკეებისგან და მაღლობებისგან. ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მდებარეობს ამავე სახელწოდების ნახევარკუნძულზე, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენს სომალელები.

სომალის ტერიტორიაზე დასახლებები უძველესი დროიდან არსებობდა. შუა საუკუნეებში ეს ტერიტორია მუსლიმანური სახელმწიფოების შემადგენელი ნაწილი გახდა. მოგვიანებით უკვე ამ ტერიტორიას ბრიტანეთის იმპერია აკონტროლებდა. 1960 წელს მოხდა სომალის დამოუკიდებლობის გამოცხადება, სწორედ ამ წელს გაერთიანდა ბრიტანული სომალილენდი და იტალიური სომალილენდი. მოგვიანებით ქვეყანაში დამყარდა სამხედრო მმართველობა. 1991 წლიდან 2000 წლამდე ქვეყანაში არ არსებობდა საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა.

1991 წლიდან ამ სახელმწიფოში მიმდინარეობს სამოქალაქო ომი, სომალში ხშირად ხდება მთავრობების ცვლა.

ქვეყნის რამდენიმე რეგიონში შექმნილია ადგილობრივი მთავრობები, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვიან. მათგან აღსანიშნავია ქვეყნის ჩრდილოეთით არსებული სომალილენდი.

მოამზადა გურა მამულაშვილმა

სპორტი

# ესპანელი ინსტრუქტორები ქართველი მწვრთნელების მომზადებას იწყებენ

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ფეხბურთის ესპანელი სპეციალისტები, ფერნანდო გომეს კოლომერმა და ხავიერ კაბელო რუბიომ მწვრთნელთა გადამზადების საერთო პროგრამის პრეზენტაცია წარმოადგინეს.

პრეზენტაციას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ვარძელაშვილი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა დაესწრნენ. პრეზენტაცის თვალი ადევნეს მწვრთნელებმა, ბავშვთა აკადემიებში მომუშავე სპეციალისტებმა, აკადემიის ხელმძღვანელებმა და ჟურნალისტებმა.

ესპანელების მიერ მომზადებული პროგრამა რამდენიმე ეტაპისაგან შედგება – საერთო პროგრამის მთავარი მიზანია ქართული ფეხბურთის განვითარება მწვრთნელთა განათლებისა და გადამზადების მიმართულებით. ამასთან, პროგრამა ითვალისწინებს მწვრთნელთა გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლებას, მეორე ეტაპი სკოლების ინვენტარით აღჭურვას, ხოლო მესამე მრჩეველთა პროფესიული კლუბის შექმნას.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუქაზე; 2. სოფლის ორლობე; 3. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 4. კომბინაცია პოკერში; 6. მსხლის ქართული ჯიში; 9. საკათედრო ტაძარი თბილისში; 13. ჰიმნებისა და საგალობლების კრებული ქართულ მწერლობაში; 14. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 15. შოტლანდიელი მათემატიკოსი, ლოგარითმების შემქმნელი; 17. სხვადასხვა ნაკეთობის ზედაპირის გასაპრიალებლად გამოყენებული, ვულკანური წარმოშობის ძალზე მსუბუქი ფოროვანი ქანი; 18. მინერალური წყალი სამეგრელოში; 20. ეგრისის მეფე მე-6 საუკუნეში.

**თარაზულად:** 1. წმინდად დაკეპილი ხორცის, თევზის და სხვა პროდუქტებისგან მომზადებული საუზმეული; 5. წნული ქოხი სამეგრელოში; 7. ციური სხეული; 8. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 10. სატანვარჯიშო იარაღი; 11. ფულის ერთეული ვიეტნამში; 12. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე თიხა; 16. აპკი, რომელიც ფარავს ფილტვებისა და გულმკერდის ღრუს კედლებს; 17. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა; 19. ცხვრის ქონიანი კუდი; 21. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 22. ბავშვთა ქალაქი თბილისში; 23. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 24. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

შვეულად: 1. შატილი; 2. გრანიტი; 3. ცელსიუსი; 4. ორთაჭალა; 8. კალმასობა; 9. პერიკარდი; 11. „კარმენი“; 12. დოლი; 14. „ანუი“; 16. ვაკანსია; 17. კაშალოტი; 19. „ბერეტა“; 21. რიონი.

თარაზულად: 5. სერვანტი; 6. დაიმლერი; 7. უფლისციხე; 10. სუნამო; 13. ქართლი; 15. ილუმენი; 18. „კაპორი“; 20. ზედაშე; 22. შერმადინი; 23. დისკანტი; 24. ანდეზიტი.

**კროსვორდი ბ**

შვეულად: 2. ოჩოკოჩი; 3. ეპიტაფია; 4. ადაპტაცია; 5. კლიპი; 6. „ოსკარი“; 8. კვაისა; 11. ლომბერი; 14. ექსტერიერი; 15. წერეთელი; 16. „რეზონანსი“; 17. ყაურმა; 19. ალფონსი; 21. ტონგა; 22. ბრუკი.

თარაზულად: 1. პოლემიკა; 5. კომო; 7. ჯაკუზი; 9. მოდიფიკაცია; 10. კალმარი; 12. არამისი; 13. ბოცვერი; 16. რარიტეტი; 17. ყავა; 18. „პარმა“; 20. აეპერკოტი; 22. „ბრერა“; 23. კოლომბო; 24. „ნადური“; 25. გოგრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკა მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებლის სტატუსს იბრუნებს

ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა გახდება და ევროზონასა და ჩინეთს გაუსწრებს. ამის მიზეზი ევროზონის რეცესია და ჩინეთის ეკონომიკური განვითარების შეფერხებაა – აცხადებს სააგენტო ბლუმბერგი.

შრომის ბაზარზე სიტუაციის გაუმჯობესების, საფონდო ბაზრის ზრდისა და საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობის შედეგად სამომხმარებლო ნდობა ძლიერდება და ხარჯები იზრდება.

ბლუმბერგის მონაცემებით, ამერიკელთა ოპტიმიზმის ინდექსი პრაქტიკულად კრიზისამდელ დონეზეა, სამომხმარებლო ხარჯები კი თებერვალში 0,8%-ით გაიზარდა და 7 თვის მაქსიმუმს მიაღწია.

– ჩვენ სასიამოვნო მომენტს ვუახლოვდებით, საკუთარ თავს თავად ვეხმარებით: დასაქმების ზრდა შემოსავლებისა და ხარჯების ზრდას იწვევს, – აცხადებს კვლევით კომპანია „სიზიონ ექონომიქს ინქორფორეითიდის" ხელმძღვანელი ალენ სინაი.

2011 წელს ამერიკელმა მომხმარებლებმა 10,7 ტრილიონი დოლარი დახარჯეს, რაც მშპ-ს 70%-ია. ჩინელი მომხმარებლების მიერ დახარჯული თანხა კი 7 ტრილიონ დოლარს შეადგენს. აშშ-ში გაყიდვების ზრდას საერთაშორისო ორგანიზაციებიც აღნიშნავენ.

– ამერიკა ფანტასტიკურ რამეს აკეთებს, – განაცხადა მოდის სახლ „ჯაანი ვერსაჩე სპას" აღმასრულებელმა დირექტორმა ჯან ჯაკომო ფერარიმ.

შტატების ეკონომიკის ზრდა ჩინეთისა და ევროპის ეკონომიკური ზრდის ტემპების შესუსტების ფონზე მიმდინარეობს.

სულ ახლახან ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად მიიჩნეოდა, თუმცა იქ თებერვალში ბოლო 15 წლის ყველაზე მაღალი სავაჭრო დეფიციტი – 31,5 მილიარდი დოლარი დააფიქსირეს.

ევროზონაში კი გუშინ რეკორდული, 10,8%-იანი უმუშევრობა დაფიქსირდა.

ამასთან, მარტის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ამერიკაში უმუშევრობის შემწეობის მიღებაზე შესული განაცხადების რიცხვი 2008 წლის შემდეგ მინიმალურ დონეზე დაეცა.

„ალაინს ბერნშტეინ ელპის" ანალიტიკოსის ჯოზეფ კარსონის აზრით, ყოველივე ეს ნიშნავს, რომ აშშ-ში სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდა ევროპისა და აზიისთვის პლუსია, რადგან ამ რეგიონების კომპანიების საქონელზე მოთხოვნის ზრდა დაიწყება და ექსპორტი გაიზრდება.

ამერიკელი მომხმარებლები 1995 წლიდან 2007 წლამდე, მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე, მსოფლიო ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატები – ფედერალური სახელმწიფოა, მოიცავს ორმოცდაათ შტატს და ერთ ფედერალურ ოლქს. ქვეყნის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მდებარეობს ჩრდილოეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში, კონტინენტზე მდებარეობს ორმოცდაცხრა შტატი, შეერთებულ შტატებს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კანადა, ხოლო სამხრეთიდან მექსიკა.

ქვეყანა მოქცეულია ორ ოკეანეს შორის. შტატი ალასკა მდებარეობს კონტინენტის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, კანადის დასავლეთით და რუსეთის აღმოსავლეთით, სწორედ ბერინგის სრუტის მეშვეობით ხდება რუსეთის და აშშ-ს დაკავშირება.

შტატი ჰავაი არის არქიპელაგი




წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში. აშშ ასევე ფლობს ტერიტორიებს კარიბის ზღვაში და წყნარ ოკეანეში.

ქვეყნის ფართობი შეადგენს 9.83 მილიონ კვადრატულ კილომეტრს, აქ ცხოვრობს 309 მილიონი კაცი.

შეერთებული შტატები ფართობის და მოსახლეობის სიდიდის მიხედვით მსოფლიოს პირველ ათ სახელმწიფოს შორის შედის.

აშშ არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ეთნიკურად მრავალფეროვანი და მულტიკულტურული ერი, აქ მრავალი იმიგრანტი ცხოვრობს.

აშშ-ს ეკონომიკის მაჩვენებლებით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია.

ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა აზიური წარმოშობისაა, ისინი აქ მრავალი ათასი წლის წინ დასახლდნენ. შეერთებული შტატები დააარსა ცამეტმა ბრიტანულმა კოლონიამ. 1776 წლის 4 ივლისს მათ თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს. ამას მოჰყვა დამოუკიდებლობის ომი ბრიტანეთის იმპერიასთან. ამ ომში გამარჯვება აშშ-მ მოიპოვა.

1787 წლის 17 სექტემბერს მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია.

მე-19 საუკუნეში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიერთა ტერიტორიები: საფრანგეთისგან, ესპანეთისგან, გაერთიანებული სამეფოსგან, მექსიკისგან, რუსეთისგან.

შეერთებულმა შტატებმა მოახდინა ტეხასის რესპუბლიკის და ჰავაის ანექსირება. 1860 წელს ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო ომი, ამ ომში ერთმანეთს ჩრდილოეთის და სამხრეთის შტატები ეომებოდნენ, საბოლოოდ გამარჯვება ჩრდილოეთის შტატებმა მოიპოვა.

სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ მთელს ქვეყანაში მონობა გაუქმდა. ამის შემდგომ შეერთებული შტატები სწრაფი ტემპებით განვითარდა, ქვეყანა მონაწილეობდა როგორც პირველ ასევე მეორე მსოფლიო ომში.

აშშ გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც ბირთვული იარაღი შექმნა. ქვეყანა არის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი.

აშშ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დანარჩენი მსოფლიოს ცხოვრების წესს. ამერიკამ შვა ტელეფონი, ელექტრობა, ტელევიზია, კომპიუტერი, ინტერნეტი, ატომური ბომბი, ასევე მასობრივი ავტოინდუსტრია, სწაფი კვების რესტორნები, საკრედიტო ბარათები, ჯინსები და სხვა.

ამერიკული ტელევიზია, ჰოლივუდის კინო, ჯაზი, ბლუზი, როკი და რეპი თანამედროვე მასობრივი კულტურის საფუძველია, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების კულტურებზე.

# რომნიმ სანტორუმს პრაიმერი კიდევ სამ შტატში მოუგო

მასაჩუსეტსის ყოფილმა გუბერნატორმა, „რესპუბლიკელების" საპრეზიდენტო კანდიდატმა, მიტ რომნიმ პრაიმერი კიდევ სამ შტატში – ვაშინგტონში, მერილინდში და ვისკონსინში მოიგო.

უცხოური მედიის ინფორმაციით, ეს რომნის უკვე აძლევს დიდ შანსს კენჭი იყაროს ნოემბერში დაგეგმილ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში.

უახლოესი პრაიმერი მისურისიში 21 მაისს ჩატარდება.

პრაიმერში მიტ რომნის მთავარი მეტოქე პენსილვანიის ყოფილი სენატორი, რიკ სანტორუმია, თუმცა ამ დროისთვის ჩატარებულ შიდა არჩევნებში სწორედ მასაჩუსტეტსის ყოფილი გუბერნატორი ლიდერობს.

შეგახსენებთ, რომ მიტ რომნიმ ამ დღეებში პრეზიდენტი ბარაკ ობამა რუსეთთან გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით დათმობაზე წასვლის მზადყოფნის გამო გააკრიტიკა. ამის შესახებ რომნიმ სტატია „ფორეინ პოლისიში" გამოაქვეყნა.




რომნის თქმით, შემთხვევითი არ არის, რომ ამჟამად რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მისი კრიტიკით არის დაკავებული.

– კრემლს აშკარად ურჩევნია, რომ საქმე თეთრი სახლის ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან ჰქონდეს, – განაცხადა რომნიმ.

რომნი ობამასაგან მოითხოვს განმარტებებს სეულში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა პოლიტიკურ სკანდალში გაეხვა.

საუბარია სეულში აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე, სადაც ერთ-ერთმა მიკროფონით, რომელიც გამორთული არ იყო, დიმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას ფარული საუბარი გახმაურდა.

კერძო საუბარში ობამამ მედვედევს ევროპის ანტისარაკეტო სისტემებთან დაკავშირებით გარკვეული პირობა მისცა.

კერძოდ, ობამამ განაცხადა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო რბილ პოზიციას გამოიჩენს, რაზეც მედვედვმა უპასუხა, რომ ამ ინფორმაციას ვლადიმირ პუტინს პირადად გადასცემს.

მომხდარი ფაქტის გამო რესპუბლიკელები ბარაკ ობამას სახელმწიფო ინტერესების შელახვაში ადანაშაულებენ.

# ბაშარ ალ-ასადს ძალადობის შეწყვეტისთვის ვადას 10 აპრილამდე აძლევენ

დასავლეთი სირიის მთავრობას ძალადობის შეწყვეტისთვის ვადას 10 აპრილამდე აძლევს.

როგორც უცხოური მედია წერს, ვადა აშშ-ის მიერ მომზადებულ პროექტშია განსაზღვრული, რომელიც ვაშინგტონმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს წარუდგინა.

დოკუმენტში აშშ სირიის მთავრობას დასახლებულ ცენტრებში ჯარის გადაადგილებისა და მძიმე ტექნიკის გამოყენების შეწყვეტისკენ მოუწოდებს.

ასევე ვაშინგტონი ითხოვს, რომ ქვეყნის მთავრობამ ჯარები დასახლებული პუნქტების ცენტრებიდან გამოიყვანოს.

გარდა ამისა, შეერთებული შტატები სირიის ოპოზიციასაც მიმართავს და სთხოვს, თუკი ხელისუფლება ყველა აღნიშნულ პირობას შეასრულებს, ძალადობა 48 საათის განმავლობაში თავადაც შეწყვიტონ.

გაერო-ში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენლის, სუზან რაისის განცხადებით, დოკუმენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ შესაძლოა ხვალ, 5 აპრილს მიიღოს.




ამ ფონზე, ბაშარ ასადი აცხადებს, რომ სირიის მთავრობამ სამშვიდობო გეგმის შესრულება დათქმულ ვადაზე ადრე დაიწყო. ჯარები უკვე ტოვებენ რეგიონებს, სადაც დაპირისპირებები არ მიმდინარეობს.

თუმცა, სირიის ოპოზიცია აცხადებს, რომ ასადის განცხადების პარალელურად სამთავრობო ჯარებმა მოწინააღმდეგის პოზიციების დაბომბვა გააქტიურეს.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, მისთვის უცნობია მტკიცებულებები, რომლებიც აჩვენებდა, რომ სირიის ჯარები მართლაც უკან იხევენ.

ხუთშაბათს დამასკოში გაეროს დელეგაციას ელიან, რომელიც მდგომარეობაზე მეთვალყურეობის შესახებ მოლაპარაკებას გამართავს.

სადამკვირვებლო მისიით სირიაში, სავარაუდოდ, 250-მდე ადამიანი ჩავა.

# რუსეთ-უკრაინის „ყველის ომი" დასასრულს უახლოვდება

– რუსეთის ფედერაცია მზადაა უკრაინიდან ყველის შეტანაზე აკრძალვა მოხსნას, – ეს განცხადება უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრმა პეტრ პოროშენკომ გააკეთა.

– აკრძალვები რუსეთის ფედერაციის მხრი-




დან უკრაინული წარმოების ყველის პროდუქტებზე მას შემდეგ იქნება მოხსნილი, რაც დამუშავდება ის შეცდომები, რომლებზედაც რუსულმა მხარემ განცხადება გააკეთა უკრაინული საწარმოების შემოწმების დროს, – განაცხადა მინისტრმა კიევში „როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელთან გენადი ონიშენკოსთან გამართულ ბრიფინგზე.

„როსპოტრებნადზორის" თანამშრომლები უკრაინაში ცოტა ხნის წინ ჩავიდნენ. მათი მიზანი ყველის მწარმოებელი იმ კომპანიების ინსპექტირებაა, რომელთაც ყველი რუსეთში შეაქვთ. ამის შესახებ თავად უწყების ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ განუცხადა.

თუმცა, უკრაინულმა მხარემ რუსეთის მთავარი სანიტარის ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა და დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ უკრაინაში წარმოებული ყველი ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს.

უკრაინული მხარის უკმაყოფილება იმანაც გამოიწვია, რომ ონიშჩენკოს გადაწყვეტილება „როსპოტრებნადზორის" სპეციალისტების ჩასვლის შესახებ ოფიციალურ კიევთან შეთანხმებული არ ყოფილა.

რუსეთმა უკრაინული წარმოების რამდენიმე სახეობის ყველის ქვეყანაში შეტანა 7 თებერვლიდან აკრძალა. ამის შემდეგ რუსეთში რეალიზაციაში გაშვებული 32 ტონა უკრაინული ყველი ამოიღეს, ხოლო კიდევ 120 ტონა საზღვარზე დააკავეს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს ლეიბორისტული პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს „ალია-ჰოლდინგის" ჟურნალისტის, გელა ზედელაშვილის მამის

**ანზორ ზედელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 5 აპრილი**

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 დოკ. ფილმი 14.00 აღმოაჩინე საქართველო 14.30 დოკ. ფილმი 15.00 სერ. „დეტექტივი„ 17.00 პირველი ტელევიზია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „მიმინო და მტრედი„ 21.00 სერ. „დეტექტივი„ 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 თოქ-შოუ „არენა„ 00.00 სი ბემოლი 01.20 საფარი 01.50 მხ. ფილმი „უძლური ცეცხლი„ (18) (ა. ჯოლი) 03.45 მხ. ფ. „თვალი თვალის წილ„ (12) (ე. ჰარისი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. „ხუთი და„ 20.00 მხ. ფილმი „საზღვრებს მიღმა„ 01.00 მხ. ფილმი „ნარშავი„

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. „ქალის სიტყვა„ 12.30 დღის შოუ 14.40 100 გრადუსი (გან.) 17.40 სერ. „ევა ლუნა„ 18.40 სერ. „შურისძიების სახელით„ 21.00 სერ. „მემკვიდრეები„ 22.00 სერ. „შუა ქალაქში„ 00.00 კულინარიული დუელი 01.00 მხ. ფილმი „ცოდვის ქალაქი„ (15) (ტ. სკერიტი) 03.35 მხ. ფილმი „მაროკოელი ტერორისტი„ (18) (ლ. ფიშბერნი) 05.15 მხ. ფილმი „უცხოები„ (18) (ლ. ტაილერი)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. „დედის გული„ 11.00 სერ. „კლონი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 კომედი შოუ 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ. „მიყვარხარ ლოლა„ 19.50 სერ. „ველური ყვავილი„ 22.00 პროფილი 23.30 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „მარია ემილია„ 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვმარკეტი 12.15 სერ. „ტაქსის მძღოლი„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი (გან.) 16.00 იცხოვრე ფეხბურთით 17.10 სერ. „ველური მთვარე„ 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე„ 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „სიამაყე„ 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.20 სერ. „ქალი გაიცნობს„ 12.50, 19.35 სერ.„წყნარი ოკეანის მარგალიტი„ 15.15 სერ. „სიამაყე„ 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

08.00 სერ. „სამხედრო მივლინება 2„ 08.55 სერ. „სპეცრაზმი 4„ 09.50 დოკ. ფილმი „ორმაგი ცეცხლი„ 10.50 სერ. „სამხედრო მივლინება 2„ 11.50 სერ. „სპეცრაზმი 4„ 12.50 მხ. ფილმი „სკაილაინი„ 14.40 მხ. ფილმი „ჯადოქრის მოწაფე„ 17.10 მხ. ფილმი „მატრიცა: რევოლუცია„ 20.05 მხ. ფილმი „ცამეტი„ 22.05 მხ. ფილმი „მეცხრე ლეგიონის არწივი„ 00.25 მხ. ფილმი „დიდი ძარცვა მატარებელში„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**5 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6678

ევრო — 2,2122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518

რუსული რუბლი — 0,0561

## ამინდის პროგნოზი 5 აპრილისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1-5, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-4, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი შერმადინი ევროვარსკვლავებში



მანუჩარ მარკოიშვილისა და გიორგი შერმადინის „კანტუმ" ევროლიგაზე გამოსვლა მეორე ჯგუფურ ეტაპზე დაასრულა. პლეი ოფების დაწყებასთან ერთად კი, ევროლიგის ვებგვერდზე დაიწყო გამოკითხვა ტურნირის საუკეთესო ხუთეულის გამოსავლენად.

ჩამოთვლილია 51 კალათბურთელი, რომელთაგან გულშემატკივარს რჩეული ხუთეულისთვის ხმის მიცემა შეუძლია. 51-ს შორისაა „კანტუს" ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი, რომელმაც ევროლიგის წლევანდელი გათამაშება მაღალ დონეზე ჩაატარა. ამას გიორგის მონაგარიც ადასტურებს. იგი საშუალოდ 21:39 წუთში 10.9 ქულასა და 5.5 მოხსნას აგროვებდა.

გიორგის მეტი სათამაშო დრო ერგო მეორე ჯგუფურ ეტაპზე და მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით, მეოთხე იყო (18.83). იგი ნაყოფიერებით მხოლოდ ცსკა-ს ფორვარდ ანდრეი კირილენკოს (19.83), მაქაბელ რიჩარდ ჰენდრიქსსა (19.33) და მონტეპასკელ ბო მაკალებს (19.17) ჩამორჩა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტოპ-16-ში 23 წლის ქართველ ცენტრს ყველაზე მეტი საჯარიმო აქვს ნატყორცნი (40) და ყველაზე მეტი – ჩაგდებული (37).

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# დაიცავით საავტორო უფლებები!

**ეკა ირემაშვილი**



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია საზოგადოებაში აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას საავტორო უფლებების დაცვის შესახებ, სხვადასხვა ინტერნეტ გვერდები კვლავაც აგრძელებენ ფილმების, კლიპებისა თუ სიმღერების უკანონოდ განთავსებასა და რეალიზაციას. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქართველ ავტორთა ჯგუფმა საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას მიმართა და მათი საავტორო უფლებების დარღვევის შესახებ აცნობა. საკითხი ეხებოდა ინტერნეტგვერდის გეგუჩაძე.კომ საშუალებით, ავტორთა ნებართვის გარეშე, მათი ნამუშევრების უკანონოდ გავრცელებასა და რეალიზაციას.

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარემ გიგა კობალაძემ კიდევ ერთხელ მოუწოდა ყველას, პატივი სცენ ადამიანთა შრომას და დაიცვას საავტორო უფლებები.

გიგა კობალაძე, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელი:

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ძლიერ ქარიშხალს ხუთი იაპონელი ემსხვერპლა

იაპონიაში ძლიერ ქარიშხალს ხუთი ადამიანი ემსხვერპლა, 440-მდე კი დაშავებულია. როგორც უცხოური მედია წერს, კიდევ ორი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ქარიშხალი ჩრდილო-აღმოსავლეთ იაპონიას გუშინ დაატყდა. სტიქიამ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები დააზიანა, რის შედეგადაც 216 ათასი ოჯახი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.



განსაკუთრებით დაზარალდა აომორის, ივატეს, მიაგის, აკიტას, იამაგატას, ფუკუსიმასა და ნიიგატას პრეფექტურები. ჩრდილოეთ იაპონიის მთავარ კუნძულ ჰონსიუს 6 პრეფექტურაში გაწყვეტილია მობილური კავშირიც.

ელექტროენერგიის გათიშვის გამო, პრობლემები შეექმნათ ტუმბოებს, რომლებიც ატომურ ელექტროსადგურებს გასაგრილებლად წყალს აწვდიან.

ამ დროისთვის მათთვის დენის მიწოდება აღდგენილია და სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

შეფერხებულია რკინიგზის მუშაობაც. ქვეყნის ჩრდილოეთში 80 მატარებელი ამ დროისთვის ვერ ფუნქციონირებს. ასევე გადადებულია 70 ავიარეისი.

ქარიშხალი (ინგლ. შტორმ) – ძალიან ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე მიწის ზედაპირთან 20 მ/წ აღემატება და ზღვაზე დიდ ღელვას იწვევს, ხმელეთზე კი ნაგებობათა დაზიანებას და ნგრევას.

ქარიშხალი ამოვარდება ტროპიკულ და ტროპიკებსგარე ციკლონების გავლისას, სმერჩისა და ტორნადოს დროს.

მეტეოროლოგიურ ლიტერატურაში ქარიშხალს შეესაბამება შტორმი (9 ბალი ბოფორტის სკალით), ძლიერი შტორმი (10 ბალი) და სასტიკი შტორმი (11 ბალი).

12 ბალიან ქარიშხალს გრიგალი ეწოდება.

*მოამზადა გურა მამულაშვილმა*

# ასტროპროგნოზი 5 აპრილისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – სამსახურში დაწინაურება და სხვა ახალი ამბავი გელით. **ტყუპები** – ფული გექნებათ, პრობლემები არ შეგაწუხებთ. **კირჩხიბი** – ის საქმე აკეთეთ, რაც აუცილებელია. **ლომი** – მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – ნუ აყვებით სხვებს, თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** – მშვიდად იყავით, იფიქრეთ საუკეთესოზე. **მერწყული** – თქვენი საქმე კარგად წავა, სანერვიულო არ გაქვთ. **თევზები** – შორი გზიდან ვიღაც ჩამოდის, მას თქვენთვის საჩუქრები ჩამოაქვს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი კახეთში; 2. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების კოსმოსური სხეული; 3. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. ქართველი პოლიტიკოსი ქალი; 8. შავი ფერის ალმასი; 9. სოკოების შემსწავლელი მეცნიერება; 11. „სამი მუშკეტერის" პერსონაჟი; 12. გამხმარი ხილი; 14. ერთგულების მტკიცე პირობა; 16. მე-13 საუკუნის ფრანგი ფერმწერი, გრაფიკოსი; 17. ბიჭვინთის ძველებური სახელწოდება; 19. წითელ წიგნში შეტანილი საქართველოში გავრცელებული, ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 21. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი.

**თარაზულად:** 5. სვანური ციხე-კოშკი; 6. კარსტული მღვიმე იმერეთში; 7. ლუდსახარში საქართველოში; 10. მწვადად ასაგები ხორცის ნაჭრები; 13. ეთიოპელი მარათონელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 15. გულის მოქმედების ნორმალური რიტმის დარღვევა; 18. ფართლეულის, ქსოვილების ვაჭარი ძველად; 20. დეტექტიური ჟანრის ინგლისელი მწერალი ქალი; 22 უბანი ქუთაისში; 23. იაპონური კინორეჟისორი; 24. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*




# 28 მარტიდან

**უნიკალური პროექტი**

„ახალ თაობასთან" ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი" 22-ე ტომი

# აინშტაინი

„100 წიგნში" შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.




**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**